პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი № 163 (11774) | პარასკევი, 15 ივლისი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

უპასუხაკებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს

მახარაძე. (საკ. კორ.). ლაითურის ჩაის ფაბრიკის მუშაკთა კოლექტივმა წარმატებით გაანაღდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის შესახებ. ნაკისრი ვალდებულებანი. ჩაის ფოთლის მიღება-გადამუშავების მაისივნისის დავალება შესრულებულია 126,9 პროცენტით. გეგმით დასახული 356 ტონის ნაცვლად გამოშვებულია 440 ტონა მაღალხარისხოვანი პროდუქცია, უმაღლესი ხარისხის ჩაის გამომუშავების დავალება 140 პროცენტით გაანაღდეს.

ფიოთურა. (საკ. კორ.) კვლავ რიტმულად, რენტაბელურად მუშაობს კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივი. თავდადებული შრომით მან პირნათლად შეასრულა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულება — 13 ივლისისათვის შეასრულა შვიდი თვის დავალება და შვიდწლედის ფონდში შეიტანა 209.000 მანეთი, დაზოგა დიდძალი სამაგრი მასალა და ელექტროენერგია.

შეუპოვრად შრომობენ მაღაროელები — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. აბრამიშვილი, აგრეთვე მ. ღუღუნიშვილი, პ. მეცხოვრიშვილი, ი. ჩაგელიშვილი, ნ. გაფრინდაშვილი, პ. ღუღუნიშვილი და სხვები, რომლებმაც კომუნისტური შრომის დამკვრელის სახელი მოიპოვეს.

თბილისი. ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საუნალებათა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში დაამუშავეს და შექმნეს საბრძმედე პროცესის სამართავი სპეციალური მათემატიკური მანქანა, რომლის დანიშნულებაა ბრძმედში კაზმის ჩატვირთვის, აირების ნაკადთა მოძრაობის, ტემპერატურული რეჟიმის ავტომატურად მოწესრიგება.

საბრძმედე პროცესის მართვა, ბრძმედში კაზმის რიტმულად ჩატვირთვის უზრუნველყოფა დნობის ტექნოლოგიური პროცესის ცალკე მონაკვეთების შესაბამისად რთული საქმეა და მოითხოვს ბრძმედის ოსტატის მაღალ დაძაბულობას. ეს მანქანა შრომას უმსუბუქებს ოსტატს, ეხმარება საბრძმედე პროცესის ნორმალური რეჟიმით წარმართვაში, თავიდან აცილებს საბრძმედე ღუმელში მოსალოდნელ შეფერხებებს და უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის თუჯის გამოშვებას.

თბილისში შექმნილი მანქანა-ავტომატი დადგმულია რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეორე ბრძმედზე.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1960 წლის 14 ივლისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მუშაობას განაგრძობდა.

დილის სხდომაზე პლენუმმა მოისმინა მოხსენებანი, თუ როგორ სრულდება სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებანი მრეწველობის, ტრანსპორტის განვითარების და წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვის შესახებ. მოხსენებები გააკეთეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ა. ი. კოსტოუსოვმა, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ე. ო. პატონის სახელობის ელექტროშედუღების ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. ბ. ე. პატონმა.

შემდეგ დაიწყო განხილვა მოხსენებებისა, თუ როგორ სრულდება სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებანი მრეწველობის, ტრანსპორტის განვითარებისა და წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვის შესახებ.

კამათში მოხსენებათა გამო დილის სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები: ლ. ნ. ეფრემოვი (სკკპ გორკის საოლქო კომიტეტის მდივანი), ვ. ა. ტრაპეზნიკოვი (აკადემიკოსი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტის დირექტორი), დ. ა. კუნაევი (ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი), ა. პ. კირილენკო (სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, სკკპ სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის მდივანი), ა. თ. იოფე (აკადემიკოსი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნახევარგამტართა ინსტიტუტის დირექტორი).

საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები: ა. გ. კარტავიხი (კუზნეცკის მეტალურგიული კომბინატის ფურცელსაგლინავი საამქროს უფროსი მვალცავი), ვ. ფ. ჟიგალინი (მოსკოვის საქალაქო სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე), ი. ვ. სპირიდონოვი (სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მდივანი), ა. მ. ტარასოვი (ბელორუსიის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე), ა. ა. კოლჩიკი („ჩისტიაკოვანტრაციტის" ტრესტის ლუტუგინის სახელობის შახტის კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი), ბ. პ. ბეშჩევი (სსრ კავშირის გზათა მინისტრი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მუშაობას განაგრძობს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

1960 წლის 13 ივლისის საღამოს სხდომა

პ. ფ. ლომაკოს მოხსენება

შემდეგი მომხსენებელი — კრასნოიარსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე პ. ფ. ლომაკო თავისი მხარის მაგალითით ცხადყოფს, თუ როგორ ხორციელდება სკკპ XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში. საწარმოო ძალების განვითარების შესახებ. ამხ. ლომაკო მოაგონებს დამსწრეთ, თუ რა შესაძლებლობები აქვს კრასნოიარსკის მხარეს, რომელსაც მოეპოვება სასარგებლო წიაღისეულის უდიდესი მარაგი, კოლოსალური ენერგეტიკული რესურსები.

ბუნებრივ სიმდიდრეთა ათვისება, ამბობს მომხსენებელი, უკვე ამ შვიდწლედში გადააქცევს ჩვენს მხარეს ციმბირის დიდ სამრეწველო ცენტრად ელექტროენერგიის, თიხამიწის, ალუმინის, ნიკელის, კობალტის, პლატინის ჯგუფის ლითონების, ცემენტის, ხე-ტყის მასალებისა და მერქნის ქიმიური დამუშავების სხვადასხვაგვარი პროდუქციის წარმოებაში. შვიდწლიანი გეგმით კრასნოიარსკის მხარეში გათვალისწინებულია წარმოების მოცულობის ზრდა თითქმის სამჯერ და შრომის ნაყოფიერების გადიდება ერთიორად და მეტად.

მომხსენებელი ამბობს, რომ ნ. ს. ხრუშჩოვთან საუბრების საფუძველზე, რომელიც ჩვენს მხარეს ეწვია გასული წლის ოქტომბერში, და მის მითითებათა საფუძველზე სკკპ სამხარეო კომიტეტმა, სამხარეო აღმასკომმა და სახალხო მეურნეობის საბჭომ შეიმუშავეს ღონისძიებანი მრეწველობისა და ენერგეტიკის განვითარების დასაჩქარებლად. ეს ღონისძიებანი დამტკიცეს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ. პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის დადგენილებებმა კრასნოიარსკის მხარის განვითარების პერსპექტივების შესახებ კიდევ უფრო აღაფრთოვანა სამხარეო პარტიული ორგანიზაცია და მშრომელები შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის საბრძოლველად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი უმთხვევა სახალხო მეურნეობის საბჭოების მუშაობის მესამე წლისთავს. ამასთან დაკავშირებით ამხ. ლომაკოს მოჰყავს ცნობები კრასნოიარსკის ეკონომიური რაიონის მუშაობის შედეგების შესახებ, რომლებიც მკაფიოდ ადასტურებენ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ახალი სისტემის უპირატესობას.

სახალხო მეურნეობის შექმნამდე მხარის მრეწველობა მთლიანად ზარალიანი იყო. სახალხო მეურნეობის საბჭოს საქმიანობის განმავლობაში სახალხო მეურნეობამ მიიღო 1,7 მილიარდი მანეთი მოგება. კრასნოიარსკის ეკონომიური რაიონის მშრომელებმა ვადამდე შეასრულეს შვიდწლედის პირველი წლის გეგმა და გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 217 მილიონი მანეთის პროდუქცია. ეჯიბრებოდნენ რა ერთმანეთს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ღირსეულად შეხვედრისათვის, საწარმოთა კოლექტივებმა ვადამდე შეასრულეს 1960 წლის პირველი ნახევრის გეგმა და წლიური სოციალისტური ვალდებულებანი გეგმის გადამეტებით საერთო პროდუქციის გამოშვების შესახებ. შესრულდა პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების დავალება.

ამხ. ლომაკომ ჩამოთვალა ახალი დიდი საწარმოები, რომლებიც მწყობრში ჩადგნენ, და აღნიშნა, რომ სამრეწველო წარმოების ზრდა მხარეში მნიშვნელოვნად უსწრებს წინ შვიდწლიანი გეგმის დავალებებს.

ამხ. ლომაკო შემდეგ ლაპარაკობს მრეწველობაში ახალი ტექნიკის დანერგვაზე. მაგალითის სახით იგი ასახელებს ნორილსკის სამთომეტალურგიულ კომბინატს — ფერადი მეტალურგიის უდიდეს საწარმოს. აქ წარმატებით ხორციელდება კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია. კომბინატის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა 1963 წელს მიაღწიოს ფერადი ლითონების წარმოების იმ დონეს, რომელიც დასახულია 1965 წლისათვის.

შვიდწლედში დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა ალუმინის მრეწველობის საწარმოთა აგება, რომლებიც იქმნება ადგილობრივი კომპლექსური ნედლეულის — ნეფელინის მადნების ბაზაზე. ამ მადნების გამოყენება უდიდეს პერსპექტივებს სახავს ჩვენს ქვეყანაში ალუმინისა და ცემენტის წარმოების განვითარებისათვის.

მერქნის ქიმიური გადამუშავების ბაზაზე კრასნოიარსკში იქმნება დიდი ქიმიის საწარმოთა დიდი კომპლექსი — ჰიდროლიზური სპირტის, კაუჩუკის, კორდული ქსოვილის, ავტომობილის სალტეების, ცელულოზის, ქაღალდის, მუყაოს, ხელოვნური აბრეშუმის წარმოება. მწყობრში ჩადგა ამ კომპლექსის პირველი რიგი. ახლა საწარმოთა ახალგაზრდა კოლექტივებმა ვალდებულება იკისრეს უახლოეს დროში აითვისონ წარმოება და ვადაზე ერთი წლით ადრე მიაღწიონ სალტის ქარხნის საპროექტო სიმძლავრეს, ხოლო ცელულოზ-ქაღალდის კომბინატში 1964 წელს უზრუნველყონ შვიდწლედის დამლევისათვის დაგეგმილი წარმოების დონე. დიდი მუშაობა განხორციელდა ახალი ტექნიკის დასანერგავად სინთეზური კაუჩუკის ქარხანაში. ამავე ქარხანაში შემუშავდა ახალ უფრო ხარისხოვან და იაფ სახეობათა კაუჩუკის ტექნოლოგია.

ამხ. ლომაკომ თავისი მოხსენების განსაკუთრებული ნაწილი მიუძღვნა ენერგეტიკის განვითარებას. იგი ამბობს, რომ მხარის ენერგოსისტემის ელექტროსადგურების სიმძლავრე შვიდწლედში გაიზრდება 20-ჯერ და მეტად. 1960 წლის მესამე კვარტალში ნაზაროვოს თბოელექტროსადგურის მშენებლობაზე ამუშავდება 150 ათასი კილოვატი სიმძლავრის პირველი აგრეგატი. გაიშალა კრასნოიარსკის ჰესის მშენებლობა. მომხსენებელს მიაჩნია, რომ ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტრომ უნდა დაჩქაროს ნაზაროვოს და ზაოზერნაიას სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურების და ნაზაროვო-კრასნოიარსკის ელექტროგადაცემის ხაზის აგება. ეს საჭიროა მომავალ ზამთარში მრეწველობისა და ტრანსპორტის ნორმალური ელექტრომომარაგების უზრუნველსაყოფად. მხარეში ელექტროსადგურების უდიდესმა განვითარებამ, რომლებიც გამოიმუშავებენ ყველაზე იაფ ენერგიას, ელექტროენერგიით უნდა უზრუნველყოს არა მარტო მხარის მრეწველობა, არამედ აგრეთვე მნიშვნელოვანწილად სხვა ეკონომიური რაიონები, თვით ურალამდე. ეს დიდ ეკონომიურ ეფექტს მოგვცემს.

აღნიშნა რა ენერგეტიკული ქვანახშირის დაუშრეტელი მარაგი და მისი ღია, ყველაზე იაფი ხერხით მოპოვების შესაძლებლობა, მომხსენებელი შემდეგ შეეხო მანქანათმშენებლობის პრობლემებს. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ ახალი ტექნიკის დანერგვის დარგში დიდი მუშაობა გასწია ციმბირის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანამ, რომელიც ცემენტის მრეწველობის მძლავრი მოწყობილობისა და მეტალურგიული ქარხნებისათვის დიდი ტვირთამწეობის ამწეთა მთავარი მიმწოდებელია. აღმოსავლეთის რაიონების სოფლის მეურნეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კომბაინის ქარხანას, რომელმაც 1963 წელს 30 ათასამდე მანქანა უნდა მოგვცის.

კრასნოიარსკის მხარეში, განაგრძობს ამხ. ლომაკო, თავმოყრილია საბჭოთა კავშირის მთელი ტყეების მეხუთედი ნაწილი. სატყეო მრეწველობის განვითარების შესაძლებლობანი პრაქტიკულად განუსაზღვრელია. მაგრამ სახალხო მეურნეობის საბჭომ ვერ შეძლო ბოლომდე დაეძლია მეურნეობის ამ დარგის ჩამორჩენა. პარტიის სამხარეო კომიტეტმა და სახალხო მეურნეობის საბჭომ შეიმუშავეს ღონისძიებანი ამ ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის შვიდწლედის მეორე წელს.

მოხსენების საბოლოო ნაწილში პ. ფ. ლომაკო შეეხო კაპიტალური მშენებლობის, მოკლე ვადაში სამშენებლო ინდუსტრიის მძლავრი საწარმოო ბაზის შექმნის საკითხებს. შვიდწლედში გათვალისწინებულია დაბანდდეს მხარის სამრეწველო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობაში 50 მილიარდ მანეთზე მეტი. ამუშავდება დიდი ენერგეტიკული სიმძლავრეები, მძიმე, მსუბუქი და კვების მრეწველობის სხვადასხვა საწარმო. ცხოვრება მოითხოვს დაუყოვნებლივ გაუმჯობესდეს კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვა და მოისპოს დაუსრულებელი სამრეწველო, საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და კომუნალურ მშენებლობაზე კაპიტალდაბანდების მოცულობათა შორის. ბევრი საპროექტო ორგანიზაცია, კერძოდ ინსტიტუტები „რეზინობროექტი", „გიპროცემენტი" ფუშავენ დაპროექტების ვადებს და ამისათვის არავითარ პასუხს არ აგებენ.

კრასნოიარსკის სამხარეო პარტიულ ორგანიზაციასა და მშრომელებს, აცხადებს მომხსენებელი, შეგნებული აქვთ იმ ამოცანების მნიშვნელობა, რომლებიც პარტიამ დასახა საწარმოო ძალების განვითარების დასაჩქარებლად და მხარეში მრეწველობის ახალი, ჩვენი ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი დარგების შესაქმნელად.

პირობას ვაძლევთ სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, ამბობს ამხ. ლომაკო, რომ ყოველ ღონეს ვიხმართ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, დავრაზმავთ მთელ რეზერვებს და არ დავიშურებთ ძალასა და შრომას შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში დაამუშავეს და შექმნეს საბრძმედე პროცესის სამართავი სპეციალური მათემატიკური მანქანა, რომლის დანიშნულებაა ბრძმედში კაზმის ჩატვირთვის, აირების ნაკადთა მოძრაობის, ტემპერატურული რეჟიმის ავტომატურად მოწესრიგება.

საბრძმედე პროცესის მართვა, ბრძმედში კაზმის რიტმულად ჩატვირთვის უზრუნველყოფა დნობის ტექნოლოგიური პროცესის ცალკე მონაკვეთების შესაბამისად რთული საქმეა და მოითხოვს ბრძმედის ოსტატის მაღალ დაძაბულობას. ეს მანქანა შრომას უმსუბუქებს ოსტატს, ეხმარება საბრძმედე პროცესის ნორმალური რეჟიმით წარმართვაში, თავიდან აცილებს საბრძმედე ღუმელში მოსალოდნელ შეფერხებებს და უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის თუჯის გამოშვებას.

თბილისში შექმნილი მანქანა-ავტომატი დადგმულია რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეორე ბრძმედზე.

ლ. ე. გრაფოვის მოხსენება

კემეროვოს სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარემ ლ. ე. გრაფოვმა მოკლედ დაახასიათა თავისი ეკონომიური რაიონი. იგი მდებარეობს ციმბირის ცენტრში, უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრეები აქვს და წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის დაუშრეტელ საკუჭნაოს, ქვანახშირის მრეწველობის, მეტალურგიის, ქიმიის, მანქანათმშენებლობისა და ენერგეტიკის დიდ ბაზას. თანმიმდევრულად და მტკიცედ ხორციელდება პარტიის პოლიტიკა, საბჭოთა კავშირის უდიდეს სამრეწველო ბაზად ციმბირის გადაქცევის პოლიტიკა.

სკკპ XXI ყრილობის შემდეგ განვლილ წელიწადნახევარში „კუზბასის მშრომელებმა დიდი მუშაობა გასწიეს საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და კომპლექსური მექანიზაციისათვის, აგრეთვე წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფისათვის. ქვანახშირის მრეწველობაში მთავარი ღონისძიებანი ხმარდება ქვანახშირის ყველაზე ეფექტიანი წესებით — ღია და ჰიდრავლიკური წესებით ამოღების განვითარებას. დასახულია შვიდწლედში ღია წესით ქვანახშირის ამოღება გადიდდეს ერთიორად და მეტად, ხოლო ჰიდრავლიკური წესით — თერმეტჯერ. მეტალურგიულ მრეწველობაში ათვისებულია დაფლეთული აგლომერატის წარმოება, მისი შეცულობა კახშში აყვანილია 75 პროცენტამდე; ბრძმედები გადაყვანილია საკერძეში გაზის გადიდებული წნევით მუშაობაზე, გადიდებულია ბერვის ტემპერატურა, რამაც შესაძლებელი გახადა წარმადობის გადიდება 23 პროცენტით და კოქსის ხარჯვის შემცირება 10 პროცენტით. ბრძმედების მარგი მოცულობის გამოყენების, მარტენის ქვედის ერთ კვადრატულ მეტრ ფართობზე ფოლადის აღებისა და ბლუმინგის წარმადობის მიხედვით კუზნეცკის მეტალურგიული კომბინატი მნიშვნელოვნად უსწრებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნებისათვის, ღირსეულ წვლილს შევიტანთ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

საბჭოთა მთავრობის განცხადება

დამოუკიდებელი კონგოს რესპუბლიკის მიმართ იმპერიალისტურ ინტერვენციასთან დაკავშირებით

13 ივლისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო ბელგიის ელჩი მოსკოვში ბ-ნი ი. კოლლსი და ამერიკის შეერთებული შტატების საქმეთა რწმუნებული ბ-ნი ე. ლ. ფრეისი და გადასცა მათ ტექსტი საბჭოთა მთავრობის განცხადებისა დამოუკიდებელი კონგოს რესპუბლიკის მიმართ იმპერიალისტურ ინტერვენციასთან დაკავშირებით. საბჭოთა მთავრობის განცხადების ტექსტი გადაეცათ აგრეთვე დიდი ბრიტანეთის ელჩს სერ პ. რაილს, საფრანგეთის ელჩს ბ-ნ მ. დეფენსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დროებით საქმეთა რწმუნებულს სსრ კავშირში ბ-ნ კ. ხ. კნოკეს.

ამავე დროს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განცხადება გაუგზავნა მოსკოვში აკრედიტებულ ყველა საელჩოსა და მისიას.

საბჭოთა მთავრობა, ნათქვამია განცხადებაში, გაფრთხილებას იძლევა იმ მძიმე პასუხისმგებლობის გამო, რაც აკისრიათ დასავლეთის სანელმწიფოთა ხელმძღვანელ წრეებს, რომელთაც შეიარაღებული აგრესია წამოიწყეს კონგოში. და დაჟინებით მოითხოვს მის დაუყოვნებლივ შეწყვეტას.

სსრ კავშირის მთავრობას მიაჩნია, რომ კონგოში შექმნილ სერიოზულ ვითარებაში, რომელიც იმუქრება ხალხთა მშვიდობასა და უშიშროებას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უნდა მიიღოს გადაუდებელი ღონისძიებანი, რათა შეწყვდეს აგრესია და საბოლოოდ აღდგეს დამოუკიდებელი კონგოს რესპუბლიკის სუვერენული უფლებები.

საბჭოთა კავშირი, ისევე როგორც ყველა სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, გადაჭრით ამბობს მუხანათურ აგრესიას კონგოს რესპუბლიკის წინააღმდეგ. იგი საბოლოოდ მხარს უჭერს აფრიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა და ხალხთა აკრიბა და ადის-აბების კონფერენციების სამართლიან მოთხოვნას იმის შესახებ, რომ აფრიკის ყველა იმ ქვეყანასა და ხალხს, სადაც ჯერ კიდევ შენარჩუნებულია სამარცხვინო კოლონიური სისტემა, დაუყოვნებლივ მიენიჭოს დამოუკიდებლობა.

(საკადრესი).

სურათზე: ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის დგან „400"-ს მოწინავე მგლინავები (მარცხნიდან) — გლინვის ოსტატი ა. ხრამოვი, უფროსი მვალცავები თ. ნატროშვილი, ბ. ამირხანოვი, გ. მალლაფერიძე და ცვლის უფროსი კ. ჯელაძე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობის დღეებში ისინი თავდადებით შრომობენ და გეგმის გადამეტებით სამშობლოს დიდი რაოდენობით აძლევენ ლითონის მილებს.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

გულითადი მილოცვები

ერაყის რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულის — 1958 წლის 14 ივლისის რევოლუციის მეორე წლისთავის აღსანიშნავად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ნ. ს. ხრუშჩოვმა** ერაყის პრემიერ-მინისტრს **აბდელ ჰალიმ ხაფაჯს** გაუგზავნა მისასალმებელი წერილი, რომლითაც უთვლის გულითად მისალმებას და ყოველივე სიკეთეს უსურვებს ერაყის რესპუბლიკის თავისუფლებისმოყვარე ხალხს.

ამავე დროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ლ. ი. ბრეჟნევმა** მისალმება გაუგზავნა ერაყის რესპუბლიკის უმაღლესი სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს **ნაჯიბ არ-რაბიის.** „ამაყოფილებთ აღვნიშნავ, ნათქვამია, კერძოდ, ამ მისალმებაში, რომ ჩვენი ორი ქვეყნის ხალხები ყოველთვის გამსჭვალული იყვნენ ერთმანეთისადმი ღრმა სიმპათიითა და გულწრფელი მეგობრობის გრძნობით, რაც კიდევ უფრო განმტკიცდა ერაყელი ხალხის ისტორიული გაბარჯვების შედეგად.

ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრს ჰაშიმ ჯავადს მისალმება გაუგზავნა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ა. ა. გრომიკომ.** (საკადრესი).

ა. ა. გრომიკოს დეპეშა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარისადმი

13 ივლისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ ზოსი ა. კორეას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ნათქვამია, რომ სსრ კავშირის მთავრობა სთხოვს საჩქაროდ მოიწვიოს უშიშროების საბჭო, რათა განიხილოს საკითხი: „საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ავიაციის ახალი აგრესიული მოქმედება, რაც საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობას".

ამ საკითხის გადაუდებელი განხილვის საჭიროება, ნათქვამია დეპეშაში, გამოწვეულია იმით, რომ შეერთებული შტატების სამხედრო თვითმფრინავების აგრესიული შეჭრა საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში, რაც უშიშროების საბჭოს განხილვის საგანი იყო 23-დან 27 მაისამდე, გრძელდება და სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობის შენარჩუნების საქმეს.

როგორც ნათქვამია დეპეშაში, საბჭოთა მთავრობა მოელის, რომ უშიშროების საბჭო, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების თანახმად მთავარი პასუხისმგებლობა აკისრია საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვისათვის, დაუყოვნებლივ განიხილავს საკითხს ამერიკის შეერთებული შტატების განუწყვეტელი პროვოკაციული მოქმედების შესახებ და ამასთან დაკავშირებით მიიღებს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც საჭიროა, რათა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეწყვიტონ მშვიდობის საქმისათვის ეს სახიფათო მოქმედებანი.

დეპეშის პირი ა. ა. გრომიკომ გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს დაგ ჰამარშელდს.

დეპეშას თან ახლავს განმარტებითი ბარათი, რომელშიც აღწერილია ამერიკის სამხედრო თვითმფრინავის მიერ ამა წლის 1 ივლისს საბჭოთა კავშირის საზღვრის აგრესიული დარღვევის ისტორია. (საკადესი).

(დასასრული მე-3 გვერდზე).

ეს სახელისა და ღირსების საქმეა

ყოველი ახალი წარმატება უდიდეს სიხარულს ანიჭებს შემოქმედებითი შრომის ადამიანებს, აღაფრთოვანებს მათ შვიდწლედის ზღვიდების ასაღებად. მონაგვანეთა მაგალითის ძალა მტკიცედ იკიდებს ფეხს. ახლა იმაზე საამაყო არაფერია, ვიდრე ყოველი ღონისძიებით ამრავლებდე მიღწევებს, ქმნიდე შრომის მაღალ ნაყოფიერებას, რომელიც საბოლოო ანგარიშით დიამნინშვნელოვანი და მთავარი საქმეა კომუნიზმის მშენებლობაში.

ეს კარგად ჰქონდათ შეგნებული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიმდინარე წლის აპრილის თათბირის მონაწილეებს, როცა თავიანთ ვალდებულებებში ჩაწერეს: 1960 წელს სახელმწიფოს მიეყიდეს 86 ათასი ტონა ხორცი ცოცხალი წონით, ანუ დადგენილ გეგმაზე ორჯერ მეტი, გასაქეთები იქნეს და სახელმწიფოს მიეყიდეს 200 ათასი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 200 ათასი ღორი, 500 ათასი ცხვარი და 5 მილიონი ფრთა ფრინველი. 1960 წელს სახელმწიფოს მიეყიდეს 150 ათასი ტონა რძე, ანუ წლიურ გეგმაზე 1,3-ჯერ მეტი.

ჩვენს სახელოვან მეცხოველეებს ახსოვთ ეს ვალდებულებანი, ჩაუფიქრდნენ ამ სერიოზულ საქმეს; ბევრგან ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა უკეთ მოაწყეს ორგანიზატორული მუშაობა, დარაზმეს მშრომელები ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის. ამით უნდა აიხსნას, რომ 1960 წლის 1 ივლისისათვის ხორცის შესყიდვის ნახევარი წლის სახელმწიფო გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში შესრულებულია 163 პროცენტით, რძის შესყიდვის ნახევარი წლის სახელმწიფო გეგმა ყველა კატეგორიის მეურნეობებში — 112 პროცენტით.

ბევრმა რაიონმა თავი ისახელა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის წლიური და ნახევარი წლის გეგმების შესრულების კეთილშობილურ საქმეში და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მილოცვა დაიმსახურა. ესენი არიან ხაშურის, ლენინგორის, მახარაძის, თეთრი წყაროს, ბოლნისის, ჩოხატაურის და სხვა რაიონები.

ეს შესანიშნავი გამარჯვება მოპოვებულია იმით, რომ პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა გააძლიერეს მომთხოვნელობა დაკისრებული მოვალეობის შესრულებისადმი, აამაღლეს ჩვენი კადრების, სპეციალისტების პასუხისმგებლობის გრძნობა, გამონახეს რეზერვები და შესაძლებლობანი და პრაქტიკული, ცოცხალი საქმეებით განამტკიცეს დასახული ღონისძიებები.

მაგრამ ეს პირველი გამარჯვება თვითდამშვიდების უფლებას როდი გვაძლევს. მით უმეტეს, როცა ნაკისრი წლიური ვალდებულების შესრულების გადამწყვეტი პერიოდი მიმდინარე წლის მეორე ნახევარია და როცა ამ საქმეში რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონები ცუდად გამოიყურებიან.

სამწუხაროდ, უწინარეს ყოვლისა, ეს შეეხება მეცხოველეობის ისეთ რაიონებს, როგორიც არის ბოგდანოვკა, ახალქალაქი, წითელწყარო, სიღნაღი, წალკა, დუშეთი, დმანისი, თიანეთი... მიმდინარე წლის ვალდებულების შესრულების უკანასკნელი მაჩვენებლები მათ სახარგებლოდ არ ლაპარაკობენ. მაგალითად, ბოგდანოვკის რაიონში სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური ვალდებულება 1 ივლისისათვის შესრულებული იყო 15,4 პროცენტით, რძისა — 39,5 პროცენტით, ახალქალაქის რაიონში ხორცისა — 21,5, რძისა — 43,5 პროცენტით, წითელწყაროს რაიონში — ხორცისა — 18,7, რძისა — 45,9, სიღნაღის რაიონში — ხორცისა — 23,9, რძისა — 39,7, წალკის რაიონში — ხორცისა — 17,7, რძისა — 40,3 პროცენტით; უკეთესი ხუთეული როდია დუშეთის, დმანისის, თიანეთის, გორის, კასპის, ბორჯომის, საგარეჯოს, გურჯაანის, თელავის, ახმეტის, სამგორის, მარნეულის რაიონებში.

როგორც ჩანს, ამ რაიონების პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს მოუხდებათ სერიოზულად გადასინჯონ არსებული რეზერვები, გამონახონ შესაძლებლობანი და ამავითვე მიიღონ ქმედითი ზომები ჩამორჩენის დასაძლევად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საკვები ბაზის განმტკიცებას, კერძოდ სიმინდს, როგორც მეტად ყუათიან საფურაჟე და სასილოსე კულტურას. ამიტომ ხელიდან არ უნდა გავუშვათ ხელსაყრელი მომენტი და თავთავიანი კულტურების აღებისთანავე უზრუნველვყოთ ნაწვერალზე სიმინდის თესვის ვალდებულების შესრულება. ამ ეტაპზე ყოველი დღე, საათიც კი ძვირფასია მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დარგში ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის.

**ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის ბრძოლაში ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს გვერდში უნდა ამოუდგნენ, ქმედითად უნდა დაეხმარონ საოლქო და რაიონული გაზეთები, ძირეული პრესა. ისინი მოწოდებული არიან ყოველმხრივ და ღრმად გააშუქონ სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხები, ყოველდღიურად გაუწიონ პროპაგანდა მოწინავე გამოცდილებას, უფრო ფართოდ გაიჩაღონ ნაკლოვანებათა გაბედული კრიტიკა, განაზოგადონ პარტიული ორგ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

(დასასრული)

ბის საუკეთესო ქარხნებს. კუზნეცკის კომბინატში მაისში ამუშავდა ბრძმედი, რომელიც ყველაზე მძლავრია ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთში. „1100“ ბლუმინგის მოდერნიზაციის, გასახურებელი ჭების რეკონსტრუქციის გზით მნიშვნელოვნად გაიზარდა მისი წარმადობა და ახლა იგი ყველაზე მძლავრია მსოფლიოში.

ქიმიურ საწარმოთა კოლექტივებმა განახორციელეს მთელი რიგი პროცესების ავტომატიზაცია, რამაც გაადიდა შრომის ნაყოფიერება, გაადიდა პროდუქციის გამოსავალი და გაუმჯობესა მისი ხარისხი. მანქანათმშენებლობის საწარმოებში ავტომატური და ნაკადური ხაზების რიცხვი გაიზარდა 1,8-ჯერ, მნიშვნელოვანი რაოდენობით დადგმულია ავტომატები, აგრეგატული და სპეციალიზებული ჩარხები. შესამჩნევად გაუმჯობესდა პროდუქციისა და მანქანების ხარისხი.

საწარმოებში ტექნიკური სამსახურის გაძლიერების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილების შესაბამისად ეკონომიურ რაიონში გადასინჯულია ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების განაწილება იმ მიზნით, რომ გადაიყვანონ ისინი საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ ბიუროებსა და გაყოფილებებში, საქარხნო და საამქრო ლაბორატორიებში, საექსპერიმენტო უბნებში, ავტომატიზაციის ჯგუფებში. ბევრ საწარმოში შარშან შეიქმნა ახალი საკონსტრუქტორო ბიუროები და ლაბორატორიები. სახალხო მეურნეობის საბჭომ მოაწყო ხუთი ახალი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, ხოლო მუშაკთა რაოდენობა სამეცნიერო დაწესებულებებში 1,4-ჯერ გადიდდა.

მაგრამ მომხსენებელი აღიარებს, რომ შემდგომი ტექნიკური პროგრესის, წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის განხორციელების დიდ რეზერვებსა და შესაძლებლობებს სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებში ჯერ კიდევ საკმარისად არ იყენებენ. მთელ რიგ წარმოებებში საჭირო ტექნიკის უქონლობის გამო ჯერ კიდევ არ დამთავრებულა ძირითადი პროცესების არა მარტო კომპლექსური მექანიზაცია, არამედ აგრეთვე მექანიზაცია ოპერაციების მიხედვით, ხოლო ბევრი დამხმარე სამუშაო ხელით სრულდება. ახალი ტექნიკის განვითარებისა და დანერგვის სახელმწიფო გეგმის შესრულების ჩამორჩენა უმთავრესად იმის გამო არის დაშვებული, რომ არა აქვთ საპროექტო დოკუმენტაცია და არ არიან უზრუნველყოფილი მოწყობილობითა და დამაკმაყოფილებელი ნაკეთობებით. დამაკმაყოფილებლად ვერ სრულდება ის ამოცანა, რომ კუზნეცკის მეტალურგიული კომბინატის საამქროები გადაიქცეს საკვლევ-საჩვენებელ საამქროებად მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონის მიხედვით. 45 სამეცნიერო-საკვლევი. საკონსტრუქტორო და საპროექტო ორგანიზაციებიდან. რომლებიც ჩაბმული არიან რეკონსტრუქციის პროექტების შედგენაში. ნახევარზე მეტს ჯერ კიდევ არ დაუწყია დაკალებული თემების დამუშავება. მომხსენებლის აზრით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტმა უნდა გააძლიეროს კონტროლი და გაუმჯობესოს იმ სამეცნიერო-საკვლევ და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაცია, რომლებიც ჩაბმული არიან საწარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ციკლეული საკითხების დამუშავებაში.

ამხ. გრაფოვი აღნიშნავს, რომ კუზბასის მშრომელები წარმატებით ასრულებენ თავიანთ მაღალ სოციალისტურ ვალდებულებებს. მუშაობის შედეგები საფუძველს გვაძლევს პირობა მივცეთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, რომ შეიდწლედის მეორე წლის დასასრულს სამრეწველო წარმოების დარგში ეკონომიური რაიონი მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულებს.

კუზბასისათვის, ისევე როგორც მთელი ციმბირისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შრომის ნაყოფიერების სწრაფ ზრდას. აღმოსავლეთის რაიონების დაუშრეტელი სიმდიდრე უნდა ავითვისოთ ადამიანის ენერგიის ყველაზე ნაკლები დახარჯვით, მოწინავე ტექნიკის ბაზაზე. ამიტომ საოლქო პარტიული ორგანიზაცია და სახალხო მეურნეობის საბჭო რაზმავენ კუზბასის მშრომელებს იმისათვის, რომ გამოავლინონ და გამოიყენონ მთელი რეზერვები, რათა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულონ შეიდწლედის დაკალები შრომის ნაყოფიერების ზრდის დარგში.

მოხსენების დასკვნითი ნაწილი მიძღვნილია კაპიტალური მშენებლობისა და სამშენებლო ბაზის განვითარების საკითხებისადმი. ჩვენი რაიონის მშრომელთა წინაშე, განაცხადა მომხსენებელმა, დასმულია უმნიშვნელოვანესი ამოცანა — აამენონ დასავლეთ ციმბირის მეტალურგიული ქარხანა. უმაგალითოდ მოკლე ვადაში — სამ წელიწადში — უნდა ამუშავდეს ბრძმედი, საკოქსე ბატარეა, ორი კონვერტორი ბლუმინგი, აგლოფაბრიკა, თბოელექტროცენტრალი, მთელი რიგი დამხმარე საამქროები, მნიშვნელოვანი რაოდენობით ბინები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და კომუნალური დანიშნულების ობიექტები. ასეთი პროგრამის განხორციელება მხოლოდ იმ პირობით შეიძლება, თუ მშენებლობა ორგანიზებული იქნება მაღალ ტექნიკურ დონეზე, ინდუსტრიული მეთოდების, პროგრესული კონსტრუქციების ფართოდ გამოყენებით, ყველა შრომატევად სამშენებლო - სამონტაჟო სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციისა და საჭირო ასიგნობათა პირობებში. მაგრამ ამჟამად სახსრები არ არის გამოყოფილი დაწესებული ვადების შესაბამისად. ასეთი ქარხნის ნელი ტემპით აშენება კი ხელსაყრელი არ არის. ეს მშენებლობის ეფექტურობას გაძვირებას გამოიწვევდა. განსაკუთრებულ განხილვას მოითხოვს დასავლეთ ციმბირის მეტალურგიული ქარხნის რიგის მადნის ბაზის შექმნა.

სამრეწველო წარმოების ზრდის საერთო ტემპებს ჩამორჩება კუზბასის ენერგეტიკის განვითარება. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ასეთი მდგომარეობა შეიქმნა იმის შედეგად, რომ კუზბასში ენერგომშენებლობას ჯეროვნად არ აფასებენ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტრო.

კემერეროვოს ეკონომიურ რაიონში მანქანათმშენებლობის არასაკმაოდ განვითარების გამო მოწყობილობის უდიდესი ნაწილი, განსაკუთრებით ქვანახშირისა და მეტალურგიული მრეწველობისათვის, შემოგვაქვს ურალიდან და ჩვენი ქვეყნის ცენტრალური ნაწილიდან. ამაკე დროს ამ მოწყობილობის გასაკეთებლად ხმარობენ კუზბასში წარმოებულ ლითონს. ლითონის არარაციონალური გადაზიდვის თავიდან ასაცილებლად, თქვა მომხსენებელმა, საჭიროა განხილულ იქნას საკითხი, რომ კუზბასში უკვე მომდინარე შვიდწლედში აშენდეს მძიმე მანქანათმშენებლობის მთელი რიგი ქარხნები.

ბ. ფ. ბრატჩენკოს მოხსენება

ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა სამრეწველო რაიონის — ყარაგანდის ეკონომიური რაიონის განვითარებაში, თქვა თავის მოხსენებაში ყარაგანდის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავჯდომარემ **ბ. ფ. ბრატჩენკომ,** როგორც პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ბრძნული პოლიტიკა, რომლის მიზანია წინათ ჩამორჩენილი ეროვნული გარეუბნის მხარეების დაჩქარებული ტექნიკური და კულტურული პროგრესი.

ბ. ფ. ბრატჩენკო ამბობს, რომ პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის მეოხებით ეკონომიურ რაიონში შეიქმნა ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის მესამე ბაზა, ფერადი მეტალურგიის უდიდესი ცენტრები. სამშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოები. დაჩქარებული ტემპებით იქმნება შავი მეტალურგია, ქიმია და მანქანათმშენებლობა.

სკკპ XXI ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საწარმოო ძალების აღმავლობას. ამ ყურადღების გამოვლინების უაღრესად მკაფიო მაგალითია ყარაგანდის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა.

— ყარაგანდელმა მეტალურგებმა,— ამბობს ბ. ფ. ბრატჩენკო,— დამავალეს გადავცე პლენუმს მათი მკირედი შრომითი საჩუქარი — ყაზახეთის მაგნიტკის პირველი თუჯის სხმული.

მომხსენებელი ლაპარაკობს ეკონომიური რაიონის მრეწველობის ბევრი დარგის სწრაფ განვითარებაზე. თუ მრეწველობის პროდუქციის საერთო გამოშვება შვიდწლედში მთლიანად ყაზახეთში იზრდება დაახლოებით ერთიორად, ყარაგანდის სახალხო მეურნეობის საბჭოში იგი უნდა გაიზარდოს 3,4-ჯერ. უკვე წელს იქნება ათვისებული კაუჩუკის, კოქსის, ბენზოლის, ქიმიკატების გამოშვება, ხოლო უახლოეს წლებში — ცივად ნაგლინი ფურცლის, თუნუქის, ჟანგბადის კომპრესორების, მაცივარი მანქანების, ალუმინისა და ბევრი სხვა პროდუქციის გამოშვება. ამ პროგრამის განსახორციელებლად საჭიროა აშენდეს 135 ახალი საწარმო. სამუშაოთა ასეთმა გაქანებამ ეკონომიური რაიონი გადააქცია გრანდიოზულ სამშენებლო მოედნად.

მომხსენებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნამ შესაძლებელი გახადა მთავარი ყურადღება მიგვექცია უმნიშვნელოვანესი ამოცანებისათვის, უკეთ გამოგვეყენებინა ტექნიკა, გაზარდა მანგანუნარიანობა და ოპერატიულობა, მიუახლოვა მართვა წარმოებას, შესაძლებლობა მოგვცა უფრო ღრმად ჩავწვდომოდით საწარმოთა და მშენებლობათა მუშაობას.

ბ. ფ. ბრატჩენკო შეეხო ეკონომიური რაიონის მრეწველობის განვითარებას 1959-1960 წლებში. გასულ წელს წარმოებულია რამდენიმე მილიარდი მანეთის პროდუქცია, მთლიანი გეგმა შესრულებულია 104 პროცენტით. ამასთან პროდუქციის გამოშვებამ 10 პროცენტით გადააჭარბა 1958 წლის დონეს. რაიონის მშრომელებმა მაღალი ვალდებულებანი იკისრეს და 6 თვეში მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს ეს ვალდებულებანი ნაკეთობათა ყველა უმთავრესი სახის მიხედვით.

წარმოებს დიდი მუშაობა იმისათვის, რომ განხორციელდეს გასული წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის, მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და გაფართოების შესახებ, რაც მრეწველობის დაჩქარებული განვითარების მთავარი პირობებია. მიმდინარეობს ბალხაშის სპილენძსადნობი ქარხნის, კოუნრადის მაღაროს, ქვანახშირის შახტებისა და ჭრილობის, ცემენტის ქარხნისა და მანქანათმშენებელო საწარმოთა გარდაქმნა. რეკონსტრუქციისა და საწარმოო პროცესების ინტენსიფიკაციის გზით მნიშვნელოვნად გადაჭარბებულია ყაზახეთის მეტალურგიული ქარხნის, ბალხაშისა და ჯეზკაზგანის გამამდიდრებელი ფაბრიკების, სინთეზური კაუჩუკის ქარხნის, ჯეზკაზგანის სპილენძის მადნის შახტების საპროექტო სიმძლავრეები. მაგალითად, ბალხაშის სპილენძსადნობმა ქარხანამ რეკონსტრუქციის შედეგად უკვე 1959 წელს გამოადნო სამჯერ მეტი სპილენძი, ვიდრე გათვალისწინებული იყო პროექტით, ბევრად შემცირდა დანახარჯი ერთი ტონა სპილენძის წარმოებაზე.

კომბინატ „ყარაგანდაქვანახშირის“ შახტებში მექანიზებული დაყრის დონემ 70 პროცენტს მიაღწია. დასახულია 1960 წელს ბევრი რამ გაკეთდეს სამუშაოთა ავტომატიზაციისა და მექანიზაციისათვის შახტების ზედაპირზე, რის შედეგადაც დაზოგილ იქნება 20 მილიონ მანეთზე მეტი.

ორატორი აღნიშნავს, რომ ახალი ტექნიკის, ავტომატიზაციისა და მექანიზაციის დანერგვა პირდაპირ დაკავშირებულია შემოკლებულ 7-6 საათის სამუშაო დღეზე მშრომელთა გადასვლასთან. სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, წელს მთავრდება მუშა-მოსამსახურეთა გადასვლა 7 და 6 საათის სამუშაო დღეზე. ამასთან მშრომელთა ხელფასი კი არ მცირდება, არამედ იზრდება. მეშახტეთა და მეტალურგთა საშუალო თვიური გამომუშავება შემოკლებულ სამუშაო დღეზე გადასვლის შემდეგ გაიზარდა 25-30 პროცენტით. ხოლო მთლიანად სახალხო მეურნეობის საბჭოს ქვანახშირის მრეწველობაში ხელფასი გაიზარდა 16 პროცენტით.

მოხსენებაში დიდი ყურადღება ეთმობა კაპიტალურ მშენებლობას. ყარაგანდის სახალხო მეურნეობის საბჭოს უმნიშვნელოვანესი მშენებლობებია მეტალურგიული ქარხანა, 17 ქვანახშირის შახტი, სინთეზური კაუჩუკის ქარხანა, თიხამიწა-ალუმინის უდიდესი ქარხანა, რამდენიმე თბოელექტროსადგური და სხ. ყაზახეთის მარგალიტს უწოდებენ ჯეზკაზგანს, სადაც გრძელდება უდიდესი სამთო-მეტალურგიული კომბინატის მშენებლობა.

სამუშაოთა გაზრდილი მოცულობის შესრულება, განაგრძობს ორატორი, შეიძლება მხოლოდ მშენებლობის დაჩქარებული ინდუსტრიალიზაციის გზით. 1959 წელს ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების წარმოება გადიდდა. ითვარდება მსხვილმოკლიანი და მსხვილპანელიანი მშენებლობა, ათვისებულია წინასწარძაბული რკინაბეტონის ელემენტების. ვიბროგალურის პანელების გამოშვება და სხ. მნიშვნელოვნად გაიზარდა სამშენებლო ორგანიზაციების მექანიზმებით აღჭურვილობა. ამხ. ბრატჩენკო ამასთან აღნიშნავს მშენებლობის ორგანიზაციაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს. კაპიტალური მშენებლობის გეგმა სახალხო მეურნეობის საბჭოს არ შეასრულებია გასულ წელს და მიმდინარე წლის პირველ ნახევარში.

მომხსენებელი აყენებს ყარაგანდის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურ — 2-ის აგების დაჩქარების. აგრეთვე ერმაკის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მშენებლობის დაჩქარების საკითხს. გარდა იმისა, რომ ეკიბასტუზის ნახშირის ბაზაზე დასახულია ერმაკის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის აგება, ამბობს ორატორი, თვით ეკიბასტუზში უნდა აშენდეს დიდი ელექტროსადგურები და მთიელი ის მძლავრი კვანძი გამოყენებულ იქნას ისისათვის, რომ ელექტროენერგიით უზრუნველყოთ არა მარტო ყაზახეთი, არამედ ურალისა და დასავლეთ ციმბირის სისტემებიც.

ბ. ფ. ბრატჩენკოს წინადადება შეაქვს შეიქმნას ყარაგანდაში სამეცნიერო - ტექნიკური ცენტრი, რომელსაც შეეძლება დამოუკიდებლად გადაჭრას ცენტრალური ყაზახეთის განვითარებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

* * *

მოსკოვში 14 ივლისს მუშაობას განაგრძობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც განიხილავს საკითხს, თუ როგორ სრულდება სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებანი მრეწველობის, ტრანსპორტის განვითარებისა და წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვის შესახებ.

დილის სხდომა დაიწყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის **ა. ი. კოსტოუსოვის** მოხსენებით.

ა. ი. კოსტოუსოვის მოხსენება

ჩვენი სახალხო მეურნეობა ახალი მძლავრი აღმავლობის გზაზეა. ა. ი. კოსტოუსოვმა მოიყვანა მონაცემები, რომლებიც მოწმობენ შესანიშნავ წარმატებებს სკკპ XXI ყრილობის მიერ მიღებული გრანდიოზული პროგრამის შესრულებაში. მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქცია 1959 წელს გაიზარდა 15 პროცენტით, ხოლო 1960 წლის პირველ ნახევარში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით — 17 პროცენტით, მაშინ როცა შვიდწლიანი გეგმით საშუალო წლიური მატება დასახულია დაახლოებით 10 პროცენტით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის მთელი მუშაობა, ამბობს ამხ. კოსტოუსოვი, ექვემდებარება პარტიის XXI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებას. კერძოდ, შემუშავდა წინადადებანი იმის შესახებ, რომ შეიცვალოს მოძველებული ნომუშების მოწყობილობა, რომელიც ექსპონირებული იყო პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმისათვის მოწყობილ გამოფენაზე. იქ ნაჩვენები 355 მანქანიდან 88 მანქანა წარმოებიდან მოიხსნა 1959 წელს, მიმდინარე წლის გეგმით გათვალისწინებულია წარმოებიდან მოიხსნას კიდევ 170 ნაკეთობა. შემოწმებულია შესრულება სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მთელი რიგი დადგენილების ქიმიური, საფეიქრო და კვების მრეწველობისათვის მოწყობილობის შექმნის შესახებ. ამან საშუალება მოგვცა მოგვეხდინა მუშაობის კოორდინაცია ახალი ტექნიკის შესაქმნელად, დავხმარებოდით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს აღმოეფხვრათ ნაკლოვანებანი საბჭოთა და საწარმოების საქმიანობაში. კომიტეტის წინადადებით მიღებულია გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მანქანათმშენებლობაში მოხდეს სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო სამუშაოების კოორდინაცია მთავარი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების ძალებით.

კომიტეტის თავმჯდომარემ შემდეგ განაცხადა, რომ მოკავშირე რესპუბლიკების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების „გეგმებით“ გასულ წელს და მიმდინარე წლის პირველ ნახევარში განხორციელებულია 1700-ზე მეტი დიდი ღონისძიება მოწინავე ტექნოლოგიის, წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დასანერგავად. საწარმოთა აღჭურვამ მანქანებით გაადიდა შრომატევადობა მძიმე სამუშაოთა მექანიზაციის მოცულობა. მაგრამ სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილება ამ საკითხზე მრეწველობის ბევრ დარგში ჯერ კიდევ ძალიან ნელა ხორციელდება. იმ მუშაოთა ხვედრითი წონა, რომლებიც საწარმოო ოპერაციებს ხელით ასრულებენ, განსაკუთრებით დიდია ტორფმომპოვებელ, მინის, ფაიფურ-ქაშანურის, ხე-ტყისა და ავეების მრეწველობაში. მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში. ჯერ კიდევ ბევრი ადამიანია დასაქმებული მასალების მზა ნაწარმის, ნარჩენების ტრანსპორტირებაზე. შენობათა მოვლასა და სხვა მძიმე და უნაყოფო სამუშაოებზე. აქ შრომის ნაყოფიერების გადიდების უდიდესი რეზერვებია.

ხელის მძიმე შრომის ლიკვიდაციისათვის საჭირო მანქანებისა და მექანიზმების წარმოების საერთო გადიდებასთან ერთად, უნდა შეიქმნას სპეციალიზებული დარგი, რომელიც დაამზადებს სატრანსპორტო სამუშაოთა მექანიზაციის საშუალებებს.

ამხ. კოსტოუსოვი შემდეგ ლაპარაკობს კომპლექსურად მექანიზებული და ავტომატიზებული საამქროების და საწარმოების შექმნაზე და აღნიშნავს, რომ ამ სამუშაოთა მასშტაბი ჯერ კიდევ არ შეიძლება საკმარისად მივიჩნიოთ. სხვადასხვა წარმოების ავტომატიზაციის ტიპური სქემებისა და საშუალებების უქონლობა წარმოშობს პარალელიზმს დაპროექტებაში და სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების ძალების არარაციონალურ გამოყენებას. საჭიროა მრეწველობის სხვადასხვა დარგში შემჭიდროებულ ვადებში შეექმნათ საცდელ - საჩვენებელი საწარმოები, შევიმუშაოთ მასთან ერთად კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის უახლესი ტიპური სქემები და საშუალებები, რათა ფართოდ დავნერგოთ ისინი მრეწველობაში. კომიტეტმა რესპუბლიკებთან და სახალხო მეურნეობის საბჭოებთან ერთად შეიმუშავა წინადადებანი, რომ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მოიწყოს 81 საცდელ-საჩვენებელი საწარმო. საცდელ-საჩვენებელ საწარმოთა ხვედრითი წონა წარმოების საერთო მოცულობაში 1965 წელს იქნება: თუჯისა — 30 პროცენტი, ფოლადისა — 24, ნაგლინისა — 28, სატვირთო ავტომობილებისა—27, საკისარებისა — 17 პროცენტი. საცდელ-საჩვენებელი საწარმოები უნდა მივაკუთვნოთ უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო მშენებლობებს, ამასთან მთლიანად უზრუნველყოთ ისინი დაფინანსებითი და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებით.

ახალი ტექნიკის შექმნის დარგში მუშაობის საბოლოო მიზანია მისი ფართოდ დანერგვა სახალხო მეურნეობაში. ამასთან დაკავშირებით მომხსენებელი ეხება ახალ სახეობათა მოწყობილობის, მანქანებისა და ხელსაწყოების სერიული წარმოების ათვისების საკითხს. გეგმით გასულ წელს და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში უნდა გამოგვეშვა სამრეწველო პროდუქციის 759 ახალი სახეობის პირველი სერიები. ფაქტიურად გეგმა შესრულდა 425 დასახელების დარგში. ახალი ტექნიკის სერიული წარმოების ნელი ათვისების ერთ-ერთ სერიოზულ მიზეზს მთელ რიგ შემთხვევებში წარმოადგენს ნაკეთობათა პირველი ნიმუშების უხარისხოდ შესრულება. ხშირია შემთხვევა, როცა ძალები და მატერიალური საშუალებები იხარჯება პირველი საექსპერიმენტო ნიმუშების გამოშვებაზე, ხოლო შემდეგ მათზე მუშაობა წყდება. უნდა აღმოვფხვრათ ასეთი პრაქტიკა.

სკკპ XXI ყრილობის იქ გადაწყვეტილებათა განხორციელება, რომ მიმდინარე შვიდწლედში კაპიტალდაბანდებანი უმთავრესად მოხმარდეს მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციასა და ტექნიკურ ხელახალ შეიარაღებას, ადიდებს მოწყობილობაზე ხარჯების ხვედრით წონას. გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებული მოძველებული და ნაკლებ წარმადობის ლითონსაჭრელი, ხისდამუშავებელი, სამჭედლო-საწნეხი და სამსხმელო მოწყობილობის 350 ათასზე მეტი ერთეულის შესაცვლელად საკმარისია დამზადდეს დაახლოებით 210 ათასი ერთეული ახალი მაღალი წარმადობის მანქანები, ჩარხები და აგრეგატები. ასეთი განახლება სხვა სამუშაოებისათვის გაათავისუფლებს 250 ათასზე მეტ კაცს და სახალხო მეურნეობას მისცემს სამ მილიარდ მანეთამდე წლიურ ეკონომიას.

ამჟამად, განაცხადა ამხ. კოსტოუსოვმა, მუშავდება წინადადებანი მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის ჟინიშვნელოვანესი დარგების განვითარების დაჩქარების შესახებ. უახლოეს წლებში რომ შეიქმნას დამატებითი სიმძლავრეები მანქანათმშენებლობაში, საჭიროა უფრო სწრაფად ვაშენოთ ახალი საწარმოები და განვახორციელოთ მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქცია. მათი რეკონსტრუქციისა და მშენებლობის პროექტების შესაქმნელად საჭიროა უფრო ფართოდ მოვიზიდოთ მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის საბჭოების, სსრ კავშირის სახმშენის, რუსეთის სსფსრ მშენებლობის სამინისტროს საპროექტო ორგანიზაციები.

ახლა ჩვენს ქვეყანაში უშვებენ 125 ათასზე მეტი დასახელების მანქანებს, ხელსაწყოებსა და მანქანათმშენებლობის ნაკეთობებს. ანალიზი გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია შემცირდეს ნაკეთობათა ტიპები და მოიწყოს უფრო ეკონომიური წარმოება. ამისათვის თვითეულ დარგში უნდა შევიმუშაოთ საჭირო მანქანებისა და ხელსაწყოების დასაბუთებული ნომენკლატურა. ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის კომიტეტის 37 სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და სხვა უწყებათა 80-ზე მეტი ინსტიტუტი შეუდგა ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის პრაქტიკულ განხორციელებას. მის გადაჭრაში უნდა ჩავაბათ სხვა ინსტიტუტებიც, აგრეთვე საკონსტრუქტორო ორგანიზაციები, მათი დაქვემდებარების მიუხედავად.

ამხ. კოსტოუსოვის მოხსენებაში აღძრული იყო აგრეთვე მოწყობილობის მოდერნიზაციის — ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი საშუალების, წარმოების სპეციალიზაციის, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციისა, სპეციალისტთა მომზადების საკითხები.

ბ. ე. პატონის მოხსენება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე იმ საკითხის განხილვა, რომელიც შედუღების ტექნიკას ეხება, თქვა უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ელექტროშედუღების ინსტიტუტის დირექტორმა ბ. ე. პატონმა, მოწმობს დიდ ყურადღებას, რასაც ამ საქმეს აქცევენ კომუნისტური პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი. შედუღება ტექნიკური პროგრესის მძლავრი საშუალება გახდა. მისი დახმარებით შედარებით მოკლე ვადებში შეტანილია და კვლავ იქნება შეტანილი ძირეული ცვლილებები მრეწველობასა და მშენებლობაში. იგი შესაძლებლობას იძლევა უფრო მომჭირნეობით გამოვიყენოთ ლითონი, ელექტროენერგია, შრომა.

შედუღების თანამედროვე ტექნიკის საფუძველზე ნამდვილი ტექნიკური რევოლუცია მოხდა ვაგონმშენებლობაში, მძიმე მანქანათმშენებლობაში, გემთმშენებლობაში, მილების წარმოებასა და სხვა დარგებში. შედუღებული კონსტრუქციები ძველი მოქლონირების კონსტრუქციების უბრალო პირები როდია, სადაც მოქლონების ნაცვლად ნაკერებია. შედუღების დახმარებით, ვიყენებთ რა გაგლინულ, სხმულ, ნაჭედ და ნატვიფრ ნამზადებს, ვქმნით პრინციპულად ახალი ტიპის კონსტრუქციებს, უზრუნველყოფილია ლითონის უფრო გონივრული ხარჯვა, მნიშვნელოვნად მცირდება მექანიკური დამუშავების მოცულობა, მკვეთრად მცირდება ლითონის დანაკარგი ბურბუშელის სახით.

დადუღების გზით, რაც შედუღების ერთ-ერთი ნაირსახეობაა, შეიძლება გავახანგრძლივოთ მანქანებისა და მექანიზმების სწრაფად ცვეთადი დეტალების სიცოცხლე და მნიშვნელოვნად გავადიდოთ ახალი დეტალების მედეგობა. დადუღების სამუშაოები ყველაზე მეტად განვითარდა მეტალურგიულ და სამთამადნო მრეწველობაში. შედუღება საშუალებას გვაძლევს დავაჩქაროთ ტექნიკური პროგრესი და, მაშასადამე, მოვიგოთ დრო კაპიტალიზმთან ეკონომიურ შეჯიბრებაში.

შედუღების ტექნიკის განვითარება, ამბობს მომხსენებელი, მიმდინარე შვიდწლედში განსაზღვრულია პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებით. 1965 წლისათვის შედუღებულ კონსტრუქციათა წარმოების მოცულობა უნდა გადიდდეს ერთიორად და მეტად 1958 წელთან შედარებით. მთელ სახალხო მეურნეობაში შედუღების სამუშაოთა მექანიზაციის საშუალო დონე გაიზრდება 11 პროცენტიდან, რაც მიღწეული იყო 1958 წლის დამდეგისათვის, 40 პროცენტამდე 1965 წელს. დასახულია უმნიშვნელოვანესი ამოცანა — შედუღების ცალკეული ოპერაციების, მექანიზაციიდან და ავტომატიზაციიდან გადავიდეთ მთლიანად ტექნოლოგიური პროცესის კომპლექსურ მექანიზაციაზე და ავტომატიზაციაზე, ნაკადურ და აგტომატურ ხაზებზე. გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ შედუღებული კონსტრუქციების გამოშვების გათვალისწინებული გადიდება და შედუღების სამუშაოთა მექანიზაციის დონის ამაღლება საშუალებას მოგვცემს 1965 წლის დამლევისათვის დავზოგოთ და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში დავაბანდოთ დაახლოებით 20 მილიარდი მანეთი.

მეცნიერი კონკრეტული ფაქტებით ცხადყოფს, თუ როგორ ინერგება შედუღება წარმოებაში. ამ პროგრესული ხერხით დამზადებული კონსტრუქციების გამოშვება 1959 წელს შეადგენდა 7,6 მილიონამდე ტონას, რაც დაახლოებით 30 პროცენტით აღემატება 1958 წლის დონეს. მიტმა წილმა რესპუბლიკებმა გასულ წელს გადაჭარბებით შეასრულეს გეგმა კონსტრუქციების გამოშვებისა, რომელთა გამოყენებამ დაახლოებით 650 მილიონი მანეთი დაზოგა.

შედუღებულ ნაკეთობათა უფრო ფართოდ გამოყენებას ხელი შეუწყო მანქანების, მექანიზმების, ნაგებობათა მოძველებული პროექტების დაწყებულმა მასობრივმა ვადასინჯვამ. მაგრამ, როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ამ მუშაობას ჯერ კიდევ ყველგან არ მიუღია გეგმიანი ხასიათი.

ჩვენი ქვეყნის მრეწველობამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ შედუღების მექანიზაციაში. ამ მხრივ საქმე კარგად არის უკრაინის ძირითად სამრეწველო რაიონებში. მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს ალტაის, გორკის, ლენინგრადის, მოსკოვის (საოლქო და საქალაქო), სვერდლოვსკის, სტალინგრადისა და ჩელიაბინსკის სახალხო მეურნეობის საბჭოებმა. სულ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში 12 ათასამდე ავტომატი [illegible] ავტომატური [illegible] ავტომატური [illegible] ავტომატი [illegible] ეს [illegible] ევროპა ყოველი ქვეყნის მასშტაბებს, ხოლო მექანიზებული რკალური შედუღების მხრივ — ამერიკის შეერთებული შტატების მასშტაბებს.

შედუღების წარმოების კომპლექსურ მექანიზაციას, აღნიშნავს ამხ. პატონი, დიდ ზიანს აყენებენ დამხმარე ოპერაციების მექანიზაციისათვის საჭირო მოწყობილობის გამოშვების დავალებათა შეუსრულებლობა. საჭიროა შეიქმნა რამდენიმე სპეციალიზებული ქარხანა ასეთი მოწყობილობის გამოსაშვებად. ნელა წარმოებს სიმძლავრეთა ზრდა დაფარული ელექტროდებისა და ლეგირებული შედუღებული მავთულების წარმოებაში. არსებითი ნაკლოვანებებია ჟადრების მომზადებაში. მომხსენებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა შეიქმნას შედუღებულ ნამზადების ცენტრალიზებული წარმოების ბაზები და საამქროები, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ გადავჭრათ მთელი რიგი მწვავე პრობლემები მრეწველობასა და მშენებლობაში. უფრო მალე უნდა გადავიდეთ მოქლონილი კონსტრუქციებიდან დაწებებულ-შედუღებულ კონსტრუქციებზე, რადგან ისინი ახალ შესაძლებლობებს ქმნიან სატრანსპორტო მანქანათმშენებლობაში.

აქ უნდა აღვნიშნო, ამბობს მომხსენებელი, საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწონებული შესანიშნავი თაოსნობა

ბრძოლა ყოველდღიურ ჩაის

გუშინ ჩაის პლანტაციებში



ბათუმი. (საკ. კორ.). რაიონში ბევრია მახარაძელი ნაირა გოგატაძის მიმდევარი. თვითეული მათგანი ყოველდღიურად კრეფს 5-7 კილოგრამით მეტს, ვიდრე შარშან. ხელვაჩაურის კოლმეურნეობის წევრმა დარეჯან თუმანიძემ ერთ დღეს 240 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. მას უკვე მოკრეფილი აქვს 4 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული, ანუ 1 ტონით მეტი, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში. მკრეფავებმა ე. მუფთიშვილმა, ს. ნაკაშიძემ, ბ. ბოლქვაძემ, ლ. ჯინჭარაძემ ერთ დღეს მოკრიფეს 50 კილოგრამი ჩაის ფოთოლი თვითეულმა. ამ წარჩინებულმა მკრეფავებმა ჩაის კრეფის წლიური გეგმები უკვე შეასრულეს.

თერჯოლა. („კომუნისტის“ კორ.). სოფელ ეწრის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში თავი ისახელეს კომკავშირელებმა ეკონომ ბუცხრიკიძემ და თამარ აბულაძემ. თვითეულმა მათგანმა ერთ დღეს მოკრიფა 50 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი. წლიური დავალებაც გადაჭარბებით გაანაღდეს. დიდი წარმატებები მოიპოვეს ასევე გამეზარდაშვილმა, ნათელა შუღლაძემ, ნაზი გურეშიძემ და ელენა ზარნაძემ. თვითეული მათგანი დღეში 60-70 კილოგრამს კრეფს.

მეტი ჩაი საბჭოთა სამშობლოს!

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობით სეზონის დაწყებიდან 10 ივლისისათვის სულ რესპუბლიკაში მოკრეფილია 89.616 ტონა ტარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ე. ი. შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით 2.365 ტონით მეტი.

მეჩაიეობის ბევრი რაიონი, რომლებმაც მაის-ივნისის გეგმა ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულეს, ივლისში ასევე წარმატებით კრეფს ჩაის ფოთოლს. 10 ივლისისათვის მახარაძის რაიონს ჩაის კრეფის ივლისის გეგმა შესრულებული აქვს 35,1 პროცენტით, ჩოხატაურის — 39,9 პროცენტით, ქობულეთის — 38,2 პროცენტით, ლანჩხუთის რაიონს—41,1 პროცენტით და ა. შ. აჭარაში 10 ივლისისათვის მოკრეფილია 2.125 ტონა, ე. ი. ამ თვის გეგმის 40 პროცენტი, აფხაზეთში — 2.056 ტონა — ივლისის გეგმის 38,8 პროცენტი.

ეს მონაცემები იმაზე მეტყველებს, რომ ქართველი მეჩაიეები ცუდად როდი მუშაობენ. მაგრამ ერთი რამ არ უნდა დავივიწყოთ — წელს მათ გაზრდილი ვალდებულებები იკისრეს. რესპუბლიკამ გეგმით გათვალისწინებული 138.000 ტონის ნაცვლად 145.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი უნდა მოკრიფოს. ეს კი აღებული ტემპის გაძლიერებას, ენერგიულ შრომასა და პასუხისმგებლობას მოითხოვს.

ახლა ამოცანა ის არის, რომ ნაყოფიერად გამოვიყენოთ ჩაის კრეფისათვის ყოველი დღე, ყოველი საათი, რადგან ასეთი საუკეთესო ვეგეტაცია ჩაის ბუჩქს შემდეგ თვეებში აღარ ექნება.

ლაგოდეხური თამბაქო

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა წელს 2.537 ჰექტარი თამბაქოს ნერგი დარგეს, რაც შარშანდელზე 337 ჰექტარით მეტია. შვიდწლედის ბოლო წელს განსაზღვრულია სახელმწიფოს მიეყიდოს 3.600 ტონამდე მაღალხარისხოვანი თამბაქო. ამ ვალდებულების შესრულებისათვის მუშაობა თავიდანვე ორგანიზებულად წარიმართა. მეთამბაქეობის კოლმეურნეობებმა ყველა სამუშაო აგროტექნიკური ღონისძიებებით გათვალისწინებულ ვადებში და მაღალხარისხოვნად შეასრულეს.

რამდენიმე დღეა კოლმეურნეობები ეუდგნენ თამბაქოს შეტეხას. 6 ივლისისათვის რაიონში შეტეხილი იყო სამი ათას შვიდასი ზონარმეტრი თამბაქო. თამბაქოს შეტეხაში დაწინაურდა სოფელ ბაბალის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ზეინაბ საბიროღლი). აქ უკვე შეტეხილია 28.413 ზონარმეტრი თამბაქო. კოლმეურნეობის მეთამბაქოეებმა იკისრეს გეგმით გათვალისწინებული 145 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდონ 170 ტონა მაღალხარისხოვანი თამბაქო.

თამბაქოს უხვი მოსავლის მისაღებად ერთმანეთს ეჯიბრებიან რაიონის კოლმეურნეობები, მეთამბაქოეთა ბრიგადები, ცალკეული კოლმეურნეები. დღეისათვის ყველას მაინც აჯობა სოფელ ვარდისუბნის მაქსიმ გორკის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადამ, რომელსაც გამოცდილი მეთამბაქოე აკაკი კაპანაძე ხელმძღვანელობს. ბრიგადისათვის ჩაბარებული 19 ჰექტარი თამბაქოს პლანტაციები საუკეთესოდ არის მოვლილი.

ი. გეჟაშვილი.

გაზეთების ფურცლებზე

„ტალალაევკა—ზუგდიდი“

ზუგდიდი. (საკ. კორ). საქართველოსა და უკრაინის სოფლის მეურნეობის მშრომელებს შორის სოციალისტური შეჯიბრება უკვე დიდი ხანია ტრადიციად იქცა.

ამას წინათ უკრაინელი მეგობრები თავიანთ ქართველ მეგობრებს ეწვივნენ. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ მეცხოველეობის მუშაკები, მექანიზატორები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. ზუგდიდელებმა სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს.

უკრაინელები ეწვივნენ ინგირის ცელულოზი>ა და ქაღალდის კომბინატს, დათვალიერეს საფუარის ახალი ქარხანა, გაეცნენ ქართული ქაღალდის შექმნის ტექნოლოგიურ პროცესს, იყვნენ ფართო მოხმარების საქონლის საამქროში.

სტუმრები იყვნენ ახალსოფლის საშუალო სკოლაში, მათ ნახეს ახალსოფლის სკოლა-ინტერნატი, დიდხანს ეცნობოდნენ ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმას, ორგნის სოციალისტური შრომის გმირის თამარ ყუფუნაის მუშაობის მეთოდებს, დაათვალიერეს ჩაის ხავერდოვანი პლანტაციები. სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს სოფელ კახათის მარჭანის, ორსანგის გეგეჭკორის, ცაიშის მეუნარგიას, ინგირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებსა და ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში.

ამას წინათ ზუგდიდში მიიღეს ტალალაევკის რაიონული გაზეთი „კოლგოსპნიკ ტალალაევშჩინის“ სპეციალური ნომერი.

გაზეთის მოწინავე წერილში „ტალალაევკა-ზუგდიდი“ მოთხრობილია ორი რაიონის ტრადიციულ შეჯიბრებაზე.

გაზეთის შიდა გაშლილ გვერდებზე, საერთო რუბრიკით — „ხალხთა ლენინური მეგობრობა — ჩვენი გამარჯვების, ძალისა და ძლიერების წყარო“, —დაბეჭდილია ზუგდიდისა და ტალალაევკის რაიონების მოწინავეთა წერილები და პორტრეტები. ტალალაევკის სოფლის მეურნეობის დელეგაციის წევრები მკითხველებს მოუთხრობენ ზუგდიდელთა შრომითს გმირობაზე, სოფლის მეურნეობის მუშაკთა მუშაობის გამოცდილებაზე, რაიონის კულტურულ საქმიანობაზე. მწველავი ი. ლისოვი, ზოოტექნიკოსი ს. შარლაი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. დავიდენკო, ყველ-კარაქის ქარხნის ოსტატი გ. ბუგია და სხვები ნერენ თავიანთ შთაბეჭდილებებზე და გამოცდილებაზე, რომელიც მათ გაიზიარეს ზუგდიდელი მეცხოველეებისაგან, მესინმინდეებისა და მეჩაიეებისაგან.

კალოზე ოქრო

ხვავდება

თავთავიანი მარცვლეული კულტურების უხვი მოსავალია თეთრი წყაროს რაიონის საკოლმეურნეო მინდვრებზე. მინდვრის ხომალდები გვიანობამდე არ წყვეტენ მუშაობას. მზისაგან გაფიცხებული ყანების უდანაკარგოდ და დროზე ასაღებად ერთმანეთს შერკინებიან კუნთმაგარი კომბაინერები, მეშტურვალეები და ტრაქტორისტები. წითელწყაროელი მექანიზატორის გიორგი თინაშვილის აგრეგატის კოლექტივის მაგალითისამებრ თეთრწყაროელმა მექანიზატორებმა იკისრეს ათ სამუშაო დღეში აიღონ შვიდწლედის მეორე წლის მოსავალი. ყველა მათგანი ცდილობს პირნათლად შეასრულოს პირობა.

მოსავლის აღებაში დაწინაურდა სოფელ კოდას კოლმეურნეობის აგრეგატი, რომელსაც გამოცდილი კომბაინერი გიორგი ჯავახიშვილი უდგას სათავეში. აგრეგატის კოლექტივი გამოეხმაურა წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოს ქიროვის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორთა ინიციატივას და იკისრა ათ სამუშაო დღეში დაამთავროს მოსავლის აღება.

ამავე კოლმეურნეობაში მექანიზატორმა მარტია მატინოვმა დაიწყო პურის ორ ფაზად აღება. ეს პროგრესული მეთოდი აჩქარებს მოსავლის აღებას, მინიმუმამდე ამცირებს დანაკარგებს და მარცვალს უნარჩუნებს სასიამოვნო გემოვნებას. პურს ორ ფაზად აიღებენ სოფლების ასურეთის, ბორბალოს და სხვა კოლმეურნეობები.

დიდი ალოობა

გურჯაანი. (საკ. კორ.). რაიონის საკოლმეურნეო მინდვრებზე დღედაღამ არ წყდება კომბაინების, ტრაქტორების, ავტომანქანების გუგუნი. გურჯაანელები პურის მოსავალს იღებენ.

ამ დღეებში განსაკუთრებით ნაყოფიერად შრომობენ სოფლების მელაანისა და ნინიანის მხვნელ-მთესველები.

მელაანელი მექანიზატორები — აგრეგატის მეთაური ნ. მესხიშვილი, ტრაქტორისტი ო. ბეჟანიშვილი, მეშტურვალე მ. ჯაპუნაშვილი უთენია იწყებენ მუშაობას და გვიან ღამედე არ აჩერებენ მანქანებს. სამ დღეში მათ სამოცი ჰექტარი ყანა მომკეს, დავალება კი 42 ჰექტარზე მეტს არ ითვალისწინებდა. საკოლმეურნეო დოვლათს 1.200 ცენტნერზე მეტი ხორბალი შემატეს.

სოფელ ნინიანის კოლმეურნეობის კომბაინის აგრეგატმა, რომელსაც ზ. თევდორაშვილი ხელმძღვანელობს, ოთხ დღეში ოთხმოც ჰექტარზე აიღო მოსავალი ისე, რომ დანაკარგები არ ჰქონია.

წარმატებით იღებენ მოსავალს გურჯაანის რაიონის სხვა სოფლებშიც. აქ დიდი ალოობა გრძელდება.

აბრეშუმის პარკის უხვი მოსავალი

განუწყვეტელ ნაკადად მიემართებიან აბრეშუმის პარკით დატვირთული მანქანები ზუგდიდის რაიაბრეშუმის დამამზადებელი პუნქტებისაკენ. 1 ივლისამდე რაიონში სულ დამზადდა 150 ათას კილოგრამამდე ხარისხოვანი პარკი.

გაზაფხულის გამოკვების ობრეშუმის პარკის მოსავლის მიღების წლიური გეგმა 101 პროცენტით შეასრულა სოფელ რუხის გრიგოლ სხულუხიას სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე შ. ჭაბარია). კოლმეურნეობამ გეგმით გათვალისწინებული 3,200 კილოგრამის ნაცვლად სახელმწიფოს 3.233 კილოგრამი პარკი ჩააბარა.

აბრეშუმის პარკის უხვი მოსავლის მიღებით თავი ისახელეს შამგონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმეებმა. მეაბრეშუმე ქალი ია წყაროზია 7 გრამ მურს უვლიდა. მას გეგმით უნდა ჩაებარებინა 20 კილოგრამი პარკი, ფაქტიურად ჩააბარა 45 კილოგრამი, ხოლო ეთერ ლაგვილავამ 10 გრამიდან 56 კილოგრამი პარკი ჩააბარა, გეგმა კი 22 კილოგრამს ითვალისწინებდა. **(საკ. კორ.).**

სიყვარული იმარჯვებს

აზერბაიჯანის დრამატული თეატრის გასტროლები

გამოჩენილი აზერბაიჯანელი პოეტისა და დრამატურგის ჰუსეინ ჯავიდის ფილოსოფიურ - რომანტიკული დრამა „შეიხ სანანი“ დაწერილია აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე და მან პროგრესული როლი შეასრულა აზერბაიჯანელი ხალხის გათვითცნობიერებაში. როგორც აქტიური ბრძოლისაკენ მოწოდებელმა და ისლამის რელიგიურ-კასტური ჩამორჩენილობის წინააღმდეგ მიმართულმა ნაწარმოებმა. საგულისხმოა, რომ ამ დრამის მოქმედების დიდი ნაწილი საქართველოში, თბილისის ფონზეა გაშლილი.

მსახიობთა და დამდგმელთა — სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სტალინური პრემიის ლაურეატის ადილ ისკენდეროვის და აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტ ა. შარიფოვის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ დადგმაში ნაპოვნია მთავარი ძარღვი, რაც ემოციურად დაძაბულ შინაარსს მაღალ შემეცნებით ღირებულებას ანიჭებს. რეჟისორის ჩანაფიქრით შეიხ სანანის დრამა მხოლოდ პიროვნული ბრძოლა როდია, როგორც ამას ნაწარმოების შითოლოგიური შინაარსი მოითხოვს; იგი მოიცავს ფსიქოლოგიური დრამისათვის დამახასიათებელ ელემენტებსაც, რაც ცენტრალური გმირის საკუთარ თავთან ბრძოლასა და შინაგან წინააღმდეგობებში ვლინდება.

აზერბაიჯანის • სახალხო არტისტმა სტალინური პრემიის ლაურეატმა რზა ავღანლიმ შესანიშნავად გახსნა სანანის სახე. მის მიერ განსახიერებული შეიხ სანანი ეძებს სიცოცხლის მიზანს. სანანში იბრძვის ორი საწყისი: ისლამის რელიგიურ-ფილოსოფიური მრწამსი და ცხოვრების სინამდვილისაგან მიღებული სკეპტიციზმი. მაგრამ მასში ნელნელა ჭრიება ეს ორივე საწყისი და სიყვარულის გავლენით იმარჯვებს ადამიანის ლტოლვა სიცოცხლისადმი. ამით იგი დიამეტრალურად უპირისპირდება ცხოვრებისაგან ზეკაცური ზვიადობით განდგომილ სკეპტიკოს დერვიშს (აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი ა. ალიევი). ეს ორი ფერი (ალ. ალიევი — ა. შარიფოვი) ერთმანეთს ეჯიბრებიან ერთ-ერთ ქალზე (ელ. ალ. ალიევა). ეს ქალი (ელ. ალ. ალიევა) ... ბოლოს ... ეს ... ბოლოს ... ეს ... ბოლოს ... ეს

ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲔᲜ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲢᲝᲠᲔᲑᲡ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ საზოგადოებრიობა და პრესა აღშფოთებით გმობენ ამერიკის შეერთებული შტატების ახალ პროვოკაციას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. გაზეთები მთლიანად ბეჭდავენ ნ. ს. ხრუშჩოვის პრეს-კონფერენციის მასალებს ან მათ დაწვრილებით შინაარსს, აგრეთვე სტატიებს, რომლებშიც ამერიკის მთავრობის მოქმედება დახასიათებულია როგორც უმაგალითო ვერაგობა.

უნგრეთის გაზეთი „მადიარ ნემზეტი“ მოწინავე სტატიაში ხაზს უსვამს, რომ ამ მოქმედებით ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელებმა გამოამჟღავნეს მთელი მსოფლიოს წინაშე თავიანთი და თავიანთი პოლიტიკის დანაშაულებრივი უპასუხისმგებლობა. პენტაგონში, თეთრ სახლში, წერს გაზეთი, სხედან ჯიუტი, უპასუხისმგებლო და, გარდა ამისა, გონებაშეზღუდული ადამიანები. მათ არაფერად მიაჩნიათ თავიანთი ხალხის ელემენტარული ინტერესები, ეწევიან ორპირულ და საშიშ თამაშს. ყველივე ეს სერიოზულ საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მდგომარეობის სტაბილიზაციას, მთელი მსოფლიოს მშვიდობას.

პოლონეთის გაზეთების ყურადღების ცენტრშია ის, რომ ამერიკის ჯაშუშურმა თვითმფრინავმა დაარღვია საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცე. „ტრიბუნა ლუდუ“, „ჟიცე ვარშავი“, „ყოლნეკ ვოლნოსცი“ შეუმოკლებლად აქვეყნებენ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადებას და პასუხს პრეს-კონფერენციაზე მოსკოვში.

სსრ კავშირი აფრთხილებს ხალხებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა სახიფათოდ ეთამაშება მსოფლიოს ბედს, ხაზს უსვამს „ტრიბუნა ლუდუ“, გაზეთი ეხება ამერიკის ახალ პროვოკაციას სსრ კავშირის წინააღმდეგ და აღნიშნავს: „რბ-47“ ტიპის ბომბდამშენის გაფრენა, რომლის მიზანიც, როგორც მისი დალუპვის შემდეგ ვაშინგტონში ამტკიცებდნენ, იყო უვნებელი „ელექტრომაგნიტური კვლევა“, ისევე როგორც მეტეოროლოგიური კვლევა „თითქოს იყო პაუერსის თვითმფრინავის ფრენის მიზანი, ნამდვილად „უ-2“ თვითმფრინავების ფრენის პოლიტიკის განგრძობაა. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, მთელი მსოფლიოს თვალში ამისათვის პასუხისმგებლობა შეერთებული შტატების ახლანდელ მთავრობას ეკისრება.

სსრ კავშირის საზღვრებზე უკანასკნელი პროვოკაციის მიხედვით, წერს, „ძენიკ ლუდოვი“ სავსებით ნათლად ჩანს, რომ აქტუალურია საბჭოთა წინადადებანი საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ და რომ სასწრაფოდ უნდა განხორციელდეს.

„ბულგარელი ხალხი, — წერს გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“, დიდად აღაშფოთა შეერთებული შტატების მმართველი წრეების აგრესიულმა მოქმედებამ. საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ხალხებთან ერთად, მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანთან ერთად იგი გადაჭრით მოითხოვს: შეწყდეს საშიში თამაშები ცეცხლთან“.

მსოფლიოს არ სურს დაძაბული მდგომარეობაში იცხოვროს, — აღნიშნავს მეორე ბულგარული გაზეთი („ოტეჩესტვენ ფრონტი“). — კაცობრიობას სძულს პროვოკატორები. ამიტომ იგი დღეს გმობს ამერიკელ აგრესორებს, გმობს იმას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არ სურთ დასაბამი მისცენ ხალხთა შორის ნამდვილ თანამშრომლობას და ურთიერთგაგებას“. ამერიკის შეერთებული შტატები სარისკო და საშიშ თამაშს ეწევიან, აცხადებს დასასრულ გაზეთი. ამ საშიშ თამაშს ბოლო უნდა მოეღოს. ამჟამად შექმნილ ვითარებაში არავის არ შეუძლია პასიური იყოს. მშვიდობის დამრღვევებმა დროა შეიგონონ, რომ მთელი მსოფლიო გმობს და ზიზღს უცხადებს მათ. მათ უნდა იცოდნენ, რომ ყოველი მათი ავანტიურის ბოლო სავალალო იქნება.

ინდოეთის გაზეთი „ნავ ბჰარათ ტაიმსი“ სარედაქციო სტატიაში წერს: „ამერიკის „რბ-47“ ტიპის თვითმფრინავის საბჭოთა ტერიტორიულ წყლებში მოსპობამ ცხადყო, რომ ამერიკას ჯერ კიდევ არ აუღია ხელი ისეთ მოქმედებაზე, რომელმაც ჩაშალა უმაღლესი დონის თათბირი, რომელიც მოწვეული იყო საყოველთაო მშვიდობის დასამყარებლად. ამერიკის შეერთებული შტატების ეს პოლიტიკა ეწინააღმდეგება მშვიდობის ინტერესებს. უკანასკნელი ინციდენტი, რომელიც მოჰყვა „უ-2“ თვითმფრინავის ყველაზე საშიშ ინციდენტს, ამტკიცებს, რომ შეერთებული შტატების განზრახვებში არავითარი ცვლილება არ მომხდარა“.

გზეფი ამასთან დაკავშირებით იმის წინააღმდეგია, რომ ამერიკის თვითმფრინავებმა გამოიყენონ აზიასა და აფრიკაში განლაგებული ბაზები.

„ნავ ბჰარათ ტაიმსი“ ეხება საბჭოთა კავშირის ნოტებს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და ნორვეგიის მთავრობებისადმი და ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა კავშირის გაფრთხილება ამ სახელმწიფოთა მიმართ იმ ქვეყნებსაც ეხებათ, რომლებიც ხელს უწყობენ შეერთებულ შტატებს და მათ ჯაშუშურ საქმიანობას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პრეს-კონფერენცია კაიროს გაზეთების მთავარი თემაა. „ალ გუმჰურია“ გარიდათ აშ-შაბის“ მთავარი რედაქტორი ნაშაშიბი გმობს ამერიკის სამხედრო წრეების ახალ პროვოკაციას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და წერს: „შეერთებულმა შტატებმა ახალი დანაშაული ჩაიდინეს. ამერიკის მეორე ჩამოგდებული ჯაშუშური თვითმფრინავის ინციდენტი, რომელმაც დაარღვია საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცე, იმას მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ ისახავენ აგრესიულ მიზნებს, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი კვლავ აბუჩად იგდებს მთელ მსოფლიოს...“ სტატიის ავტორი ხაზს უსვამს, რომ პრეზიდენტ ეზენჰაუერს იკისრება პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ შეერთებული შტატები პროვოკაციას აწყობენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ამერიკის სამხედრო წრეების პროვოკაციას გულისწყრომით გმობენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, იაპონიისა და სხვა ქვეყნების გაზეთები. მსოფლიოს ხალხები სამარცხვინო ბოძზე აკრავენ ომის პროვოკატორებს, მოითხოვენ შეწყდეს ცეცხლთან საშიში თამაში. (საკდესი).

ᲚᲘᲡᲘᲡ ᲢᲑᲐᲖᲔ.
ფოტო ᲕᲚ. ᲒᲘᲜᲖᲑᲣᲠᲒᲘᲡᲐ.

ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲛᲐᲛᲐᲪᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ

ᲐᲘ ᲓᲔᲓᲔᲒᲐᲜᲔᲚᲘ გმირი — კაპიტანი ვასილ ამბროსის-ძე პოლიაკოვი, გამანადგურებელი მფრინავი, რომელმაც 1 ივლისს საბჭოთა კავშირის ტერიტორიულ წყლებზე წმინდა ცხვირის კონცხის აღმოსავლეთით ჩამოადო ამერიკის მზვერავი თვითმფრინავი „რბ-47“.

მფრინავმა-კომუნისტმა ვ. პოლიაკოვმა პირნათლად შეასრულა მეომრისა და მოქალაქის მოვალეობა. ამ გაფრენაში მან მაღალი მხედრული ოსტატობა გამოიჩინა.

კაპიტანი ვ. ა. პოლიაკოვი ერთერთია ჩვენი ქვეყნის იმ სახელოვან და მამაც მფრინავთა პლეადიდან, რომლებიც ფხიზლად დგანან საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვრების სადარაჯოზე.

დახედეთ ამ სურათს — თქვენ შემოგცქერით ახალგაზრდა მფრინავის მტკიცე ნებისყოფის გამომხატველი მამაცური სახე. ეს გახლავთ გამანადგურებელი მფრინავი კაპიტანი ვასილ ამბროსის-ძე პოლიაკოვი.

ვასილ პოლიაკოვი კომკავშირის აღზრდილია. არმიაში სამსახურის წინ ესენტუკში ცხოვრობდა. ახლა იგი კომუნისტია. 28 წლისაა. საავიაციო სასწავლებელი რომ დამთავრა, ჩინებულად აითვისა უახლესი ტექნიკა და თავი გამოიჩინა როგორც გაბედულმა, საზრიანმა მფრინავმა.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ 1961 ᲬᲔᲚᲡ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 13 ივლისი. (საკდესი). სრულიად საკავშირო სავაჭრო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. ვ. ნესტეროვმა და საფრანგეთის მოსკოვის მომავალი ეროვნული გამოფენის გენერალურმა კომისარმა რ. ბორდაზმა გუშინ ხელი მოაწერეს შეთანხმებას 1961 წლის 25 აგვისტოდან 20 სექტემბრამდე პარიზში საბჭოთა ეროვნული გამოფენის მოწყობის შესახებ.

როგორც ცნობილია, საფრანგეთის ეროვნული გამოფენა მოსკოვში მოწყობა 1961 წლის 15 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე.

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ

ᲐᲜᲙᲐᲠᲐ, 12 ივლისი. (საკდესი). გუშინ აქ მეჯლისის შენობაში გაიმართა ეროვნული ერთიანობის კომიტეტის ღია სხდომა დროებითი მთავრობის მინისტრებთან ერთად. სხდომაზე გამოქვეყნებულ იქნა თურქეთის ახალი მთავრობის პროგრამა.

თურქეთის ახალი მთავრობის საგარეო პოლიტიკას, ნათქვამია პროგრამაში, საფუძვლად უდევს პრინციპები, რომლებიც გამოცხადებულ იქნა რადიოთი 27 მაისს, როცა რევოლუციური მთავრობა შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას. პროგრამაში აღნიშნულია, რომ თურქეთს არა აქვს მტრული გრძნობები რომელიმე ქვეყნის მიმართ. თურქეთი არ იტყვის უარს შეასრულოს ის თავისი მოვალეობა, რომ ხელი შეუწყოს უთანხმოებათა ლიკვიდაციას, რომლებიც აბრკოლებენ მტკიცე საერთაშორისო მშვიდობის დამყარებასა და ასეთი მშვიდობისათვის ნიადაგის მომზადებას. ამ მიზნების განხორციელების გზაზე თურქეთის ღონისძიებათა დასაყრდენია, აღნიშნულია პროგრამაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, აგრეთვე ნატო და სენტო. ამასთან დაკავშირებით პროგრამაში განსაკუთრებით აღნიშნულია თურქეთის „ერთგულება“ ნატოსა და სენტოსადმი. პროგრამის შემდგენელნი აცხადებენ აგრეთვე, რომ „მიღებულ იქნება ღონისძიებანი ამერიკის შეერთებულ შტატებთან მეგობრობის კიდევ უფრო განსამტკიცებლად“.

თურქეთის ახალი მთავრობა, აღნიშნულია პროგრამაში, ცდილობს განამტკიცოს ტრადიციული მეგობრული კავშირი არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასა და ერაყთან.

შემდეგ პროგრამაში ნათქვამია: „ჩვენ გულწრფელად გვსურს განვავითაროთ კეთილმეზობლობის ფარგლებში, რასაც საფუძვლად უდევს ურთიერთპატივისცემა, ჩვენი ურთიერთობა სხვა მეზობელ ქვეყნებთან, განსაკუთრებით ჩვენს დიდ ჩრდილოელ მეზობელთან — საბჭოთა კავშირთან. მაგრამ ამ ჩვენი სურვილის განხორციელება გაადვილდება მაშინ, როცა ნაყოფს გამოიღებს სტაბილობისა და მშვიდობის უზრუნველყოფის, აგრეთვე მთელ მსოფლიოში დაძაბულობის ლიკვიდაციის ღონისძიებანი“.

მთავრობა, აღნიშნულია პროგრამაში, ყოველ ღონეს იხმარს თურქეთის შეიარაღებული ძალების განმტკიცებისათვის. ამ მიზნით იგი ისარგებლებს თურქეთის მოკავშირეთა მხარდაჭერითა და დახმარებით.

თურქეთის ახალი მთავრობის პროგრამა უნდა დაამტკიცოს ეროვნული ერთიანობის კომიტეტმა.

ᲤᲠᲐᲜᲒᲘ ᲙᲐᲚᲐᲗᲒᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ — ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირში ტურნეს მართავენ ფრანგი კალათბურთელები. გუშინ ისინი ერევნიდან თბილისში ჩამოვიდნენ. ქალაქის სპორტსმენებმა სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. დღეს ფრანგი კალათბურთელები. კიროვის სახელობის პარკის სტადიონზე გამართავენ პირველ შეხვედრებს. სტუმართა წინააღმდეგ გამოვლენ საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა და თბილისის „დინამოს“ ვაჟთა გუნდები.

ქალთა გუნდიდან საფრანგეთის მხრივ გამოდის ამ ქვეყნის 1959-1960 წ. სპორტული სეზონის ჩემპიონი სორბონის უნივერსიტეტის კალათბურთელთა კოლექტივი. გუნდს ჰყავს მაღალი ტანის სპორტსმენები, რომელთა შორის გამოირჩევიან დები კატორები.

ვაჟთა გუნდიდან საფრანგეთის სპორტულ ღირსებას იცავს ჟ. ლონინის „ვილერბანნის“ საკლუბო გუნდი, რომელიც საფრანგეთის არაერთგზის ჩემპიონია. ამ გუნდმა 1959-1960 წ. სეზონში მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. მიუხედავად იმისა, რომ ჟ. ლონინის გუნდს სამი წამყვანი მოთამაშე აკლია (ისინი საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებში შედიან და ოლიმპიური ასპარეზობისათვის ემზადებიან), მან ბაკოსა და ერევანში კარგი თამაში აჩვენა. სტუმართა შორის გამოირჩევიან მიშელ უსი, ძმები როტები.

პირველი მატჩები ჩვენმა სტუმრებმა ბაკოში გამართეს. ქალთა გუნდმა დარცხება განიცადა ადგილობრივ „ბურევესტნიკთან“ 36 : 42, მეორე მატჩი კი ბაკოს ნაკრებთან მხოლოდ ერთი ქულით წააგო (30 : 31).

შეუპოვარი ბრძოლით ხასიათდებოდა ვაჟთა გუნდების შეხვედრა. თამაშის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე ანგარიში სტუმრებს მიჰყავდათ (45 : 43), მაგრამ უკანასკნელ წუთებში მასპინძლებმა (ბაკოს სკიფ-ი) შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა და გაიმარჯვეს 56 : 47. ფრანგებმა მეორე მატჩი ბაკოს ნაკრებთან დაამთავრეს 61 : 65.

მორიგი მატჩები ფრანგ კალათბურთელებს ჰქონდათ ერევანში. ეს მატჩებიც საბჭოთა კალათბურთელების წარმატებით დამთავრდა.



ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲔᲚᲔᲑᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲜᲔᲜ

როგორც ცნობილია, ევროპის თასის გათამაშება საბჭოთა ფეხბურთის ტ[illegible] უმფოთ დამთავრდა და ჩვენი ქვეყ[illegible] ნაკრები თასის პირველი მფლობ[illegible] გახდა. მოსკოვში გამარჯვებულებს გუ[illegible] თბილი შეხვედრა მოუწყეს.

გუშინ სსრ კავშირის ნაკრების [illegible] წევრი — მ. მესხი, გ. ჩოხელი და ზ. [illegible]ლოევი თბილისში დაბრუნდნენ. აე[illegible] დროშმუ დინამოელებს თაიგულებით [illegible]ხვდნენ.

გუშინვე ევროპის თასის გათამაშებ[illegible] მონაწილე თბილისელი ფეხბურთელ[illegible] დიდოლმში გაემგზავრნენ, სადაც შე[illegible]ბაზე იმყოფება თბილისის „დინამო“. ამრიგად, მომავალ მატჩებს თბილ[illegible]სის „დინამო“ ითამაშებს თავისი ძ[illegible]თადი შემადგენლობით.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲒᲑᲐᲖᲔ

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲕᲔᲯᲐᲒᲣᲨᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. 14 ივლისი. დღეს აქ გამართა ჩვენი ქვეყნის პირველობის [illegible] თამაშების მორიგი შეჯიბრება ფეხბ[illegible]თში. თამაშობდნენ არმიის ცენტრალ[illegible]რი სასპორტო კლუბისა და ლენინგ[illegible]დის „დმმრალტეეცის“ გუნდები. მატ[illegible] დამთავრდა ლენინგრადელთა გამარ[illegible]ბით ანგარიშით 4 : 1.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲗ

☐ **ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ** ამერიკის შეერთებული შტატების პირველობის გათამაშება მძლეოსნურ ათჯერადში. შეჯიბრება, რომ[illegible] ქალაქ იუჯინში მოეწყო, დამთავრ[illegible]რაფერ ჯონსონის გამარჯვებით. მან შ[illegible]გროვა 8.683 ქულა და ახალი მსოფლ[illegible] რეკორდი დაამყარა.

☐ **ᲑᲐᲗᲣᲛᲘ** დაიწყო ამერიკელ[illegible] სიის ზონალური შეჯიბრება ჩოგბურ[illegible]ში. ამ ასპარეზობას წინ უძღოდა [illegible] აუბლიკური პირველობა. ვაჟთა შორ[illegible] საქართველოს ჩემპიონი გახდა ლ. მძ[illegible]რიშვილი, ქალთა შორის — რ. აბაანდ[illegible]ძე. ქალთა წყვილებში ფინალურ[illegible]ნენ რ. აბაანდაძე და ა. მინაევა, [illegible] წყვილებში — ვ. გოგლიძე და ვ. ახალ[illegible]ძე. მერეიულ წყვილებში ჩემპიონის [illegible]დება მოიპოვეს რ. აბაანდაძემ და გ. [illegible]საელიანმა.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲑᲘᲣᲠᲝᲡ

ᲐᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲑᲘᲣᲠᲝᲡ ცნობით, უახლოეს ორ დღეში ამინდის მკვეთრი ცვლილება რესპუბლიკაში მოსალოდნელი არ არის. ელჭეკიანი ხანმოკლე წვიმები შეიძლება იყოს დასავლეთ საქართველოს სამხრეთ რაიონებში და აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთი რაიონებში, სუსტი, რაიონის ზ[illegible]ობაში ზომიერი ქარი, ცვალებადი მოღრუბლულობა.

დასავლეთ საქართველოს დაბლობ რ[illegible]ონებში ტემპერატურა ღამით იქნება 1[illegible] 21, დღისით 26-31 გრადუსი, მთიან რა[illegible]ონებში ღამით 9-14, დღისით 21-26 გრ[illegible]დუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში ნიკ[illegible]ოდნავ ნაკლები იქნება — დაბლობ რაო[illegible]ნებში ღამით მოსალოდნელია 12-17, დღ[illegible]სით 24-29 გრადუსი, მთიან რაიონებ[illegible] ღამით 5-10, დღისით 17-22 გრადუსი.

ᲤᲘᲓᲔᲚ ᲙᲐᲡᲢᲠᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲗ

ᲰᲐᲕᲐᲜᲐ, 12 ივლისი. (საკდესი). 10 იულის საღამოს კუბის პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ მოკლე სიტყვა წარმოთქვა ტელევიზიით თავისი ბინიდან (ფიდელ კასტრო ავადაა და ლოგინად წევს).

ჩვენი პრობლემები, თქვა კასტრომ, გამოწვეულია არა ამერიკელი ხალხის მიერ, არამედ ტრესტებისა და მონოპოლიების მიერ; ამერიკელი ხალხი კი არაა „ესოსა“ და „ტეხას ოილ კომპანის“ კომპანიების ბატონ-პატრონი. ამერიკელთა მცირერიცხოვან ჯგუფს ხელთ უპყრია ხელისუფლება და ამერიკის შეერთებული შტატების ძირითადი რესურსები. სწორედ ამ ჯგუფმა დაიწყო კამპანია ჩვენს წინააღმდეგ და მზადაა განახორციელოს შეიარაღებული აგრესია ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში კუბის მხარეზეა მსოფლიოს ყველა ხალხი.

აღნიშნა რა, რომ შეერთებული შტატები, მთელ მსოფლიოს მიაჩნია როგორც პროგრესისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ხალხთა მტერი, კასტრომ განაცხადა, რომ კუბის ხალხი და მთავრობა ულრმეს მადლობას უხდის საბჭოთა კავშირს იმ მხარდაჭერისათვის, რომელიც მან კუბას გაუწია. მაგრამ ჩვენ, თქვა კასტრომ, თვითონვე დავიცავთ თავს, კვლავაც მზად ვიქნებით საკადრისი პასუხის გასაცემად. იმპერიალისტებს შეუძლიათ შეეცადონ ჩვენზე თავდასხმას, მაგრამ მაშინ მთელი მსოფლიო გამოვა მათ წინააღმდეგ.

ᲜᲝᲛᲒᲣᲡᲣᲙᲘ ᲙᲘᲡᲘᲜᲯᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 14 ივლისი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის კორესპონდენტი ტოკიოდან იუწყება, პოლიციამ გამოაცხადა, რომ დღეს პრემიერ-მინისტრი ნობუსუკი კისი დაჭრეს მისი რეზიდენციის წინ.

ᲢᲝᲙᲘᲝ, 14 ივლისი. (საკდესი). როგორც აქ ცნობილი გახდა, პრემიერ-მინისტრ კისიზე თავდასხმელი დაუპატიმრა პოლიციამ. თავდასხმელი ეკუთვნის უკიდურეს მემარჯვენე პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელიც ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის სამსახურშია. კისის ჭრილობა სერიოზული არ არის.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲣᲙᲐᲠᲜᲝᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

ᲯᲐᲙᲐᲠᲢᲐ, 13 ივლისი. (საკდესი). გუშინ აქ გამოქვეყნდა პრეზიდენტ სუკარნოს დადგენილება პოლიტიკური პარტიების შესახებ. დადგენილებით განსაზღვრულია პოლიტიკური პარტიების აღიარების, მათი არსებობის პირობები, აგრეთვე პარტიების დაშლის პირობები იმ შემთხვევაში, როცა მათი მიზნები და მოღვაწეობა ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ინტერესებსა და კანონებს.

დადგენილების თანახმად, პარტიის ოფიციალურად აღიარებისათვის, კერძოდ, საჭიროა, რომ პარტიაში ირიცხებოდეს სულ ცოტა 150 ათასი წევრი, აგრეთვე, რომ პარტია თავისი წესდებით აღიარებდეს 1945 წლის კონსტიტუციას და პანჩა შილას პრინციპებს, თავისი მოღვაწეობის პროგრამას აფუძნებდეს პრეზიდენტის გასული წლის 17 აგვისტოს პოლიტიკურ მანიფესტზე. დადგენილებაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ პარტიამ თავისი მიზნები მშვიდობიანი დემოკრატიული გზით უნდა განახორციელოს.

დადგენილების შესაბამისად თვითეულმა პარტიამ მისი აღიარების შემდეგ მთავრობას პერიოდულად უნდა გააცნოს თავისი ფინანსური საქმიანობა, წევრთა რიცხვი, ამ პარტიის ხელმძღვანელობით მოქმედი განყოფილებებისა და ორგანიზაციების რაოდენობა.

დადგენილებით გათვალისწინებულია, რომ პარტიებს, რომლებიც დაარღვევენ სახელმწიფოს პრინციპებსა და მიზნებს, ხელყოფენ ამ პრინციპებსა და მიზნებს ან გაერევიან ამბოხებებში, დაშლის პრეზიდენტი.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲞᲔᲠᲣᲨᲘ

ᲰᲐᲕᲐᲜᲐ, 13 ივლისი. (საკდესი). როგორც პრენსა ლატინას სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება ლიმიდან (პერუ), 10 ივლისს ამერიკული კომპანიის „სერო დე პასკო კორპორეიშნს“ აგენტებმა და ჯარისკაცებმა ცეცხლი დაუშვეს ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომლებიც პროტესტს აცხადებდნენ იმის წინააღმდეგ, რომ კომპანიამ უკანონოდ მიიტაცა მათი კუთვნილი მიწები. სროლის შედეგად 3 კაცი მოკლულია და ბევრი დაჭრილია.

მეორე დღეს გლეხთა თემების ფედერაციამ ქალაქ სერო დე პასკოში გამართა მიტინგი, რომელზეც სასტიკად დაგმეს ამერიკული კომპანიის სისხლიანი ბოროტმოქმედება. გლეხებს მხარი დაუჭირეს ქალაქის მაღაროელებმა.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲒᲑᲐᲖᲔ

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲕᲔᲯᲐᲒᲣᲨᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. 14 ივლისი. დღეს აქ გამართა ჩვენი ქვეყნის პირველობის [illegible] თამაშების მორიგი შეჯიბრება ფეხბ[illegible]თში. თამაშობდნენ არმიის ცენტრალ[illegible]რი სასპორტო კლუბისა და ლენინგ[illegible]დის „დმმრალტეეცის“ გუნდები. მატ[illegible] დამთავრდა ლენინგრადელთა გამარ[illegible]ბით ანგარიშით 4 : 1.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲗ

☐ **ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ** ამერიკის შეერთებული შტატების პირველობის გათამაშება მძლეოსნურ ათჯერადში. შეჯიბრება, რომ[illegible] ქალაქ იუჯინში მოეწყო, დამთავრ[illegible]რაფერ ჯონსონის გამარჯვებით. მან შ[illegible]გროვა 8.683 ქულა და ახალი მსოფლ[illegible] რეკორდი დაამყარა.

☐ **ᲑᲐᲗᲣᲛᲘ** დაიწყო ამერიკელ[illegible] სიის ზონალური შეჯიბრება ჩოგბურ[illegible]ში. ამ ასპარეზობას წინ უძღოდა [illegible] აუბლიკური პირველობა. ვაჟთა შორ[illegible] საქართველოს ჩემპიონი გახდა ლ. მძ[illegible]რიშვილი, ქალთა შორის — რ. აბაანდ[illegible]ძე. ქალთა წყვილებში ფინალურ[illegible]ნენ რ. აბაანდაძე და ა. მინაევა, [illegible] წყვილებში — ვ. გოგლიძე და ვ. ახალ[illegible]ძე. მერეიულ წყვილებში ჩემპიონის [illegible]დება მოიპოვეს რ. აბაანდაძემ და გ. [illegible]საელიანმა.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲣᲙᲐᲠᲜᲝᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

ᲯᲐᲙᲐᲠᲢᲐ, 13 ივლისი. (საკდესი). გუშინ აქ გამოქვეყნდა პრეზიდენტ სუკარნოს დადგენილება პოლიტიკური პარტიების შესახებ. დადგენილებით განსაზღვრულია პოლიტიკური პარტიების აღიარების, მათი არსებობის პირობები, აგრეთვე პარტიების დაშლის პირობები იმ შემთხვევაში, როცა მათი მიზნები და მოღვაწეობა ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ინტერესებსა და კანონებს.

დადგენილების თანახმად, პარტიის ოფიციალურად აღიარებისათვის, კერძოდ, საჭიროა, რომ პარტიაში ირიცხებოდეს სულ ცოტა 150 ათასი წევრი, აგრეთვე, რომ პარტია თავისი წესდებით აღიარებდეს 1945 წლის კონსტიტუციას და პანჩა შილას პრინციპებს, თავისი მოღვაწეობის პროგრამას აფუძნებდეს პრეზიდენტის გასული წლის 17 აგვისტოს პოლიტიკურ მანიფესტზე. დადგენილებაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ პარტიამ თავისი მიზნები მშვიდობიანი დემოკრატიული გზით უნდა განახორციელოს.

დადგენილების შესაბამისად თვითეულმა პარტიამ მისი აღიარების შემდეგ მთავრობას პერიოდულად უნდა გააცნოს თავისი ფინანსური საქმიანობა, წევრთა რიცხვი, ამ პარტიის ხელმძღვანელობით მოქმედი განყოფილებებისა და ორგანიზაციების რაოდენობა.

დადგენილებით გათვალისწინებულია, რომ პარტიებს, რომლებიც დაარღვევენ სახელმწიფოს პრინციპებსა და მიზნებს, ხელყოფენ ამ პრინციპებსა და მიზნებს ან გაერევიან ამბოხებებში, დაშლის პრეზიდენტი.

ᲗᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ ᲒᲕᲐᲪᲣᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲡ

☐ **ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 14 ივლისი.** (საკდესი). გუშინ, გამოვიდა რა პრეს-კონფერენციაზე, სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელ მა ლინკოლნ უაიტმა დაადასტურა, რომ კონგოს ნაპირებისაკენ მიემართება ამერიკის ავიამზიდი. უაიტის სიტყვით, ავიამზიდს მიეცა დავალება „დახმარება გაუწიოს ევაკუაციაში, თუ ამის საჭიროება იქნება“.

☐ **ᲢᲝᲙᲘᲝ, 14 ივლისი.** (საკდესი). დღეს გაიმართა მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა, რომელზეც პარტიის თავმჯდომარედ კისის ნაცვლად ხმის უმრავლესობით არჩეულ იქნა ხაიატო იკედა.

ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ ხაიატო იკედა გახდა პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი.

იუწყებიან, რომ კისის მთავრობა ხვალ გადადგება.

☐ **ᲚᲝᲡ-ᲐᲜᲯᲔᲚᲝᲡᲘ, 14 ივლისი.** (საკდესი). გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე მიმდინარეობდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატის არჩევნები. სენატორი ჯონ კენედი ერთსულოვნად აირჩიეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატად დემოკრატიული პარტიისაგან.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜ